დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ქალაქ რუსთავის N7 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნატო გაბოშვილი

წევრები:

ნინო მუმლაძე
ნინო შუბლაძე
ნიკოლოზ გურგენიძე
რუსუდან ნიპარიშვილი
ავთანდილ ცნობილაძე
მარიამ ფერიაშვილი
ირაკლი ქობალია
ქეთევან ქობალია
ლელა მანგოშვილი
თამარ ძველაია

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ რუსთავის N7 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	216317108

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი რუსთავი
ფაქტობრივი მისამართი	ქ. რუსთავი, მაჩაბლის ქ. N 3
საფოსტო ინდექსი	3700
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Rustavi7@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	599 01 35 91

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	04.07.2025 წ MES 0 25 0000816896
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2025 წლის 31 ივლისი, 1 აგვისტო

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	ქალაქი რუსთავი, მაჩაბლის ქ.N3; ერთი შენობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი რუსთავი, მაჩაბლის ქ. N3; ერთი შენობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	ქალაქი რუსთავი, მაჩაბლის ქ.N3; ერთი შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 4 ივლისის, MES 0 25 0000816896 ბრძანების საფუძველზე, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით 2025 წლის 31 ივლისსა და 1 აგვისტოს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - ქალაქ რუსთავის N7 საჯარო სკოლაში.

ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ დაგეგმა დისტანციური შეხვედრა და ერთობლივად შეიმუშავა დღის წესრიგი, განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და შეიმუშავა შესამოწმებელ დოკუმენტთა დამატებითი ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა შემდეგი შემადგენლობით: ზოგადი განათლების ხარისხის ორი ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით. ექსპერტებმა ერთხმად აღნიშნეს დოკუმენტების მოწესრიგებულად , ინდიკატორების მიხედვით გადმოგზავნილი მასალის შესახებ და შესაბამისად ნაკლები აღმოჩნდა დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაციის ნუსხა.

დაწესებულებაში ვიზიტის პირველსავე დღეს სკოლის ადმინისტრაციამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი, რომელთანაც ექსპერტებს ჰქონდათ კომუნიკაცია და საქმიანი ურთიერთობა. ვიზიტის პროცესში ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს - სკოლის დირექტორს, მოადგილეს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს, ბუღალტერს, სპეც.მასწავლებლებს, სსსმ პირის ასისტენტებს და სხვა პირებს. ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან. დაწყებითი საფეხურის ფარგლებში არსებული მდგომარეობის უკეთ შესწავლის მიზნით, დაწყებითი საფეხურის ექსპერტს მჭიდრო კავშირი ჰქონდა სახელმწიფო ენის, მათემატიკის, ისტ-ის, ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტებთან. მათ ერთდროულად წარმართეს ინტერვიუირების პროცესი, მოქმედებდნენ შეთანხმებულად.

დამატებით გამოგზავნილი დოკუმენტების გაცნობისა და ინტერვიუირების პროცესში, გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს ჰქონდათ მზაობა, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, წარემართათ შუალედური სასწავლო მიზნების მიღწევა. ექსპერტების მიერ გაცემული რჩევები და რეკომენდაციები ასახულია შესაბამის ცხრილში.

საავტორიზაციო ვიზიტი სკოლაში განხორციელდა საქმიან გარემოში. დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა ჯგუფის საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო კონკრეტული დოკუმენტების ადგილზე წარმოდგენა. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა კორპუსი ისევ შეხვდა სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და გააცნო წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად დანახული კონკრეტული მიგნებები და რჩევები.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის სტილი დაფუძნებულია დემოკრატიული კულტურის განვითარებაზე. მმართველი გუნდის პრიორიტეტია დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული პროცესი, სასკოლო საზოგადოება აქტიურადაა ჩართული სკოლის ინტერესთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში. დაწესებულება ზრუნავს სკოლის შიდა ტერიტორიის გამწვანება/განაშენიანაებაზე. აღნიშნულ პროცესში აქტიურდაა ჩართული სრულიად სასკოლი საზოგადოება. სკოლის ეზოში მოწყობილია საგაკვეთილო სივრცეები, რომელსაც სკოლა აქტიურად იყენებს, აღნიშნულ სივრცეებში ტარდება საინტერესო გაკვეთილები. აღსანიშნავია მშობელთა ჩართულობაც სასკოლო ცხოვრებაში, დაწესებულებას ტრადიციად აქვს ,ყველა სასწავლო წელს, მისცენ მშობლებს შესაძლებლობა თვითონ გახდნენ ერთი დღით მასწავლებლები და ჩაატარონ გაკვეთილები, აღნიშნული აქტივობა მიზნად ისახავს მშობელთა ჩართულობის გაზრდას სასკოლო ცხოვრებაში, დაწესებულება აქტიურად მუშაობს არაფორმალური განათლების მიმართულებით. სკოლის საუკეთესო გამოცდილებად შეიძლება ჩაითვალოს სკოლის კურსდამთავრებულებთან შეხვედრების მოწყობა: გაიმართა არაერთი შეხვედრა: წარჩინებულ კურსდამთავრებულებთან, ექიმ კურსდამთავრებულებთან, ტექნოლოგიების სპეციალისტებთან. არაერთი შეხვედრა მოეწყო კადეტთა კორპუსისა და თავდაცვის აკადემიის წარმომადგენლებთან, კოლეჯის წარმომადგენლებთან.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1450	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*

ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

V. რჩევა

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N.1.1.2	***სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და***	*სკოლის მისიასა და ხედვაში კიდევ უფრო მეტად დაკონკრეტდეს უცხოური ენების სწავლების როლი, ამ მიმართულებით გაზრდილი საათების მიზნობრიობა.*

	პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს	
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერ	*რჩევა*
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციები მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური*	***სკოლას მიეცა რჩევა, შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის აყვანის თაობაზე.***
ინდიკატორი *N3.4.1.1*	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციები*	***სკოლას მიეცა რჩევა შეასრულოს უფლებამოსილი უწყების მიერ მიცემული რჩევები სახანძრო უსაფრთხოების შესახებ***

	მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური	
ინდიკატორი N3.4.1.2	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*სკოლას მიეცა რჩევა, მოიპოვოს სკოლის ექიმის მეორე შტატი და აიყვანოს*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(დაწყებითი, საბაზო და საშუალო)*	*რჩევა*
ინდიკატორი N.2.1.1.1	***შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას***	***ესთეტიკა-*** *სამივე საფეხურზე საგანმანათლებლო შინაარსი მოერგოს თემის კონტექსტს, რათა მოსწავლეებს მიეცეთ საშუალება იმუშაონ რეალურ საკითხებზე — პროექტებით, გუნდურად და შემოქმედებითად.* რეგულარულად ჩატარდეს მოსწავლეთა ინტერესების, სასწავლო სტილისა და საჭიროებების გამოკითხვა/ანალიზი. კვლევის

		შედეგების საფუძველზე გაუმჯობესდეს კურიკულუმის შინაარსი და სწავლების მეთოდები. ● კათედრამ შეიმუშავოს არჩევითი/მრავალფეროვანი აქტივობების სია, რათა მოსწავლეებს მიეცეთ შესაძლებლობა სწავლის პროცესში ჩაერთონ საკუთარი ინტერესების და უნარების შესაბამისად. ● სახელმძღვანელო განიხილებოდეს, როგორც ერთ-ერთი რესურსი და არა მთავარი სწავლების წყარო. სასწავლო პროცესში ინტეგრირდეს აუდიო-ვიზუალური მასალები, შემოქმედებითი ტიპის სამუშაოები და ადგილობრივ კონტექსტზე დაფუძნებული რესურსები, რაც უზრუნველყოფს სწავლების თემატურ მრავალფეროვნებას და აამაღლებს მოსწავლეთა ჩართულობას. ● ესთეტიკურმა კათედრამ მოამზადოს სამოქმედო გეგმა გამოვლენილი საჭიროებების ან გამოწვევების საპასუხოდ. ***სპორტი*** *- სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაიწერი საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით.*
2.1.2.2	***კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.***	***ესთეტიკა*** ● *მიეთითოს, დაწყებით და საბაზო საფეხურზე კომპლექსური დავალებების გარდა, რა ტიპის შემაჯამებელი დავალებით იფარება შესასწავლი თემები.* ● *საშუალო საფეხურის კურიკულუმები გაიწეროს დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმების იდენტურ ჩარჩო-*

		დოკუმენტში. კომპლექსური დავალების პირობის ნაცვლად, მიეთითოს პროექტული სწავლების, კონკრეტული თემის ფარგლებში შესასრულებელი პროდუქტი. ***სახელმწიფო ენა*** *- : სასურველია სამივე საფეხურის კურიკულუმების შემუშავებისას გამოყენებული იყოს ერთი ჩარჩო. აგრეთვე, შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებების იდეა უფრო კონკრეტულად გაიწეროს კურიკულუმში.* ***დაწყებითი*** *- სასურველია, კათედრამ ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ბუნებისმეტყველებასა და მე და საზოგადოებაში კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება;* *სწორად აისახოს ესგ-ს შესაბამისად გაწერილი სავალდებულო თემები, სტანდარტის შედეგები და დავალების იდეა.*
2.1.2.3	***კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას***	***სახელმწიფო ენა*** *- სასურველია სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები რაც შეიძლება სრულყოფილად აისახოს სამივე საფეხურის კურიკულუმებში.* ***სპორტი*** *- სასურველია, დაწყებითი საფეხურის 1-4 კლასების კურიკულუმებში დაემატოს 2023 წლის გრიფირებული სახელმძღვანელოები.* ***დაწყებითი კათედრაზე შემავალ საგნებში ,ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ბუნებისმეტყველებასა და მე და საზოგადოებაში*** *- სასურველია, სამომავლოდ, უფრო მეტი მატერიალური და ელექტრონული რესურსით გამდიდრდეს კურიკულუმები.*

2.1.2.4	*სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს*	***დაწყებითი საფეხური ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში ბუნებისმეტყველებასა და მე და საზოგადოებაში შემუშავებულ კურიკულუმებში*** *- სასურველია,აისახოს ადაპტირებული დავალებები.*
2.2.1.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	*სპორტი საშუალო საფეხური - სასურველია, მასწავლებლებმა შექმნან კონკრეტულ კომპლექსურ/პრაქტიკულ დავალებებსა და საკლასო აქტივობებზე მეტად მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.* ***სპორტი საბაზო საფეხური*** *- - სასურველია, მასწავლებლებმა შექმნან კონკრეტულ კომპლექსურ/პრაქტიკულ დავალებებსა და საკლასო აქტივობებზე მეტად მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.* ***დაწყებითი*** *საფეხური - ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა,ბუნებისმეტყველება და მე და საზოგადოება სასურველია ყველა საგანში შემუშავდეს,კურიკულუმში გაწერილი, კონკრეტულ დავალებებზე მორგებული რუბრიკები. რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.*
2.2.2.1	*კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში*	• *ესთეტიკა - დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების რესურსების ველში დაემატოს კომპლექსური დავალებების ბანკის რესურსების ჩამონათვალი.* • ***სასურველია,*** *ინტეგრირებული თემატიკის არჩევა სკოლის სპეციფიკის მიხედვით.* ***სასურველია,*** *კურიკულუმში აისახოს სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და თემის პროფილის (მაგ., სოფლის მეურნეობა, ხელოვნება, მეღვინეობა, არქიტექტურა, კულინარია) შესაბამისი თემები.*

		• ***ესთეტიკა*** *საბაზო საფეხურის კურიკულუმების რესურსების ველში დაემატოს კომპლექსური დავალებების ბანკის რესურსების ჩამონათვალი.* • ***სასურველია,*** *ინტეგრირებული თემატიკის არჩევა სკოლის სპეციფიკის მიხედვით.* ***სასურველია,*** *კურიკულუმში აისახოს სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და თემის პროფილის (მაგ., სოფლის მეურნეობა, ხელოვნება, მეღვინეობა, არქიტექტურა, კულინარია) შესაბამისი თემები.* ***დაწყებითი*** *-(ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და მე და საზოგადოება) სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემებისა და საკითხების დამუშავების დროს მასწავლებლებმა გამოიყენონ მრავალფეროვანი, დამხმარე, მატერიალური და ელექტრონული რესურსები.*
2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	• ***ესთეტიკა - სასურველია სამივე საფეხურისთვის (დაწყებითი,საბაზო,საშუალო)*** *რესურსების ფორმალიზება: მაგალითად, რესურსების გამოყენების წინასწარი დამტკიცება კათედრის სხდომაზე, ან შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება თემატურ-საათობრივ გეგმაში. ეს ხელს შეუწყობს პროცესის გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას.* • ***სასურველია,*** *სკოლაში გამოიყენებოდეს მხოლოდ სანდო, ავტორიტეტული წყაროებიდან მოწოდებული ელექტრონული მასალა. აუცილებელია რესურსების შინაარსობრივი გადამოწმება, რათა არ მოხდეს არარელევანტური მასალის გამოყენება.*

		• ***სასურველია,*** *შეიქმნას მუსიკისა და ხელოვნების რესურსების ელექტრონული ბაზა, რომელსაც გამოიყენებენ კათედრის მასწავლებლები. რესურსბანკში შესაძლებელია შეინახოს: სასწავლო ვიდეოები, ნოტები, ნახატების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები და პრეზენტაციები.*
2.2.3	***კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით***	*ესთეტიკა სამივე საფეხური (დაწყებითი,საბაზო,საშუალო) -* ***სასურველია****, ესთეტიკის კათედრისთვის საჭირო ინვენტარის განახლება. მიუხედავად არსებული საბაზისო რესურსისა, მიზანშეწონილია რეგულარული შევსება და განახლება სახარჯი მასალების და ტექნიკური აღჭურვილობისა (საღებავები, ფუნჯები, ქაღალდი, მუსიკალური ინსტრუმენტები, ხმის გამაძლიერებელი), რაც მნიშვნელოვნად იმოქმედებს პრაქტიკული საქმიანობის ხარისხზე.* • ***სასურველია,*** *ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება – იქნება ეს მხატვრული ნამუშევრების ციფრული არქივის შექმნა, მუსიკის ციფრული პროგრამების გამოყენება თუ დისტანციური რესურსების გამოყენება მრავალფეროვანი დავალებებისთვის.* ***სპორტი სამივე საფეხურისთვის(დაწყებითი,საბაზო საშუალო)*** *- სასურველია, სკოლამ შეისყიდოს მცირე ზომის ბურთები (მაგ., ჩოგბურთის ბურთები) იმისთვის, რომ შესაძებელი გახდეს მძლეოსნობის თემის ფარგლებში ერთ-ერთი ტექნიკური ელემენტის (ცალი ხელით ბურთის ტყორცნის) სწავლება.* ***დაწყებითი საფეხური (ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და მე და საზოგადოება)-*** *სასურველია, სამომავლოდ, უფრო მეტი მატერიალური და ელექტრონული რესურსით იქნას უზრუნველყოფილი*

		კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*სკოლამ **არგუმენტირებული პოზიციის გაზიარებისას** წარმოადგინა*

- *უფლებამოსილ უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.სკოლამ განსაზღვრულ ვადაში*
- *უფლებამოსილი უწყებისგან სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.*

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს სკოლის მისია და ხედვა, რომელიც ეყრდნობა განათლების ეროვნულ მიზნებს, გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გემიდან და შემუშავებული და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლის მიზანია კიდევ უფრო გააუმჯობესოს მოსწავლეთა მიღწევები და ამის განსახორციელებლად მოიზიდოს შესაბამისი ფინანსური,ადამიანური და მატერიალური რესურსი. სკოლის მიზანია მოსწავლეები აღჭურვონ 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებით, რომელიც გამოადგებათ მათ მთელი ცხოვრების მანძილზე. დაწესებულება ემსახურება კონკურენტუნარინი მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და სკოლის მიზანია მოამზადოს განათლებული, კრიტიკულად და შემოქმედებითად მოაზროვნე, მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე პიროვნებები, რომელიც ეროვნულ ფასეულობებზე დაყრდნობით ინტეგრირებული იქნება საერთაშორისო სივრცესთან.

სკოლის ხედვაა გარდა ზოგადი განათლებისა მოსწავლეებს ჰქონდეთ თანადროული განათლების მიღების შესაძლებლობა, ხოლო სკოლის მასწავლებლებს თანამშრომლობით კულტურაზე დაფუძნებული სამუშაო გარემო, რომელიც მისცემთ საშუალებას უწყვეტი პროფესიული განვითარების და საკუთარი პროფესიული უნარების და შესაძლებლობების ადეკვატურად გამოყენებას. მასწავლებლები საქმიანობდნენ ენთუზიაზმით, მშობლებთან ჰქონდეთ პარტნიორული ურთიერთობები. ყოველწლიურად იზრდებოდეს ლიდერ მასწავლებელთა რიცხვი. ადმინისტრაციის მიზანია მუდმივად იზრუნონ მოსწავლეთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებაზე ციფრული კომპეტენციების გაუმჯობესება და მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების ხელშეწყობაზე. მისია შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს და ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას; ხედვა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებაზე; შეიმუშავებს შესაბამის აქტივობებს მოსწავლეებში სირთულეების დაძლევის, მიზანდასახულობის, თვითრეალიზაციის გაღრმავებისა და მოტივაციის ასამაღლებლად; სკოლა მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული, თითოეულ მოსწავლეს აქვს სიტყვის თავისუფლად გამოხატვის საშუალება, უმრავლესობა აქტიურად არის ჩართული სასკოლო თუ სკოლისგარეშე ღონისძიებებში;რაც დასტურდება სკოლის მიერ განხორციელებული აქტივობებითა და სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობით.

მოსწავლეებს შექმნილი აქვთ მშვიდი სასკოლო სასწავლო გარემო, სკოლის ადმინისტრაცია, კლასის დამრიგებლები, სკოლის მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები ზრუნავენ სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის; სკოლაში მოქმედებს მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი; სკოლის შესასვლელში ზის მორიგე დამლაგებელი, სკოლაში მოქმედებს უცხო პირთა შემოსვლისა და მოსწავლეთა გათავისუფლების საშვები.

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს; შემუშავებულია ასევე მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. სკოლაში ტარდება არაერთი სპორტული და შემოქმედებითი ღონისძიება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით; ხელშეწყობილია მოსწავლეთა თვითმმართველობის ყველა მიზნობრივი ინიციატივა; სასკოლო თუ საერთაშორისო პროექტებში, ფორმალური და არაფორმალური განათლების ხელშეწყობით მშობელთა აქტიური ჩართულობა და სასკოლო-შემეცნებითი ექსკურსიები, ლაშქრობები, გუნდური და თანამშრომლობითი გარემო ხელს უწყობს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებასა და ჩამოყალიბებას. აღნიშნული კი ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცის შექმნას. სკოლას გაზრდილი აქვს უცხოური ენების სააათები, საათობრივ ბადეში, სამომავლოდ გეგმავენ ამ მიმართულებით სასწავლო პროცესის გაძლიერებას, შესაბამისად სკოლას მიეცა ***<u>რჩევა - სკოლის მისისა და ხედვაში კიდევ უფრო მეტად დაკონკრეტდეს უცხოური ენების სწავლების როლი, ამ მიმართულებით გაზრდილი საათების მიზნობრიობა.</u>***

ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტის შექმნაში, მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესამუშავებლად შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელშიც ჩართულნი იყვნენ როგორც მასწავლებლები, მშობლები, ისე მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლები; სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის მიზნით ჯგუფის მიერ შემუშავებულია კითხვარი, რომელიც

გადაეგზავნა სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს. მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით კი სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტები, რომლებიც წარედგინა სკოლის დირექტორის მიერ; სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენა და შეთანხმება ხოლო შემდეგ პედაგოგიურ საბჭოზე წარდგენა და დამტკიცება; საბოლოო სახით დამტკიცებული დოკუმენტი განთავსებულია სკოლის ფოიეში, თვალსაჩინო ადგილზე, სკოლის ვებ-გვერდზე; სოციალურ ქსელში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

ავტორიზაციის პროცესში სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის პირველადი ვერსიის შემუშავება მოხდა სამუშაო ჯგუფების მიერ სასკოლო საზოგადოების მიერ წარდგენილი წინადადებებისა და რეკომენდაციების საფუძველზე.

სამუშაო ჯგუფმა განიხილა მიღებული უკუკავშირი, გაითვალისწინა და შეიმუშავა საბოლოო ვერსია, რომელიც შეთანხმდა და დამტკიცდა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად და ადგილზე ვიზიტის საფუძველზე დასტურდება სკოლის მისიის, ხედვისადა ღირებულებებბის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა, კერძოდ: დასრულებული დოკუმენტი გასაცნობად წარედგინა სასკოლო საზოგადოებას და ყველა დაინტერესებულ პირს შესაბამისი საკომუნიკაციო საშუალებებით, სკოლის ვებ-გვერდი, ფეისბუქ გვერდი, ასევე დოკუმენტი გამოკრულია სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილას. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი; საგნობრივ კათედრებზე მშობელთა კრებებზე, აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილ ოქმებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის ბრძანება N448-ის თანახმად, მიენიჭა სსიპ - ქალაქ რუსთავის N7 საჯარო სკოლის სახელწოდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა;

- სასკოლო პროექტის გეგმა,რეფლექსია;
- ბრძანებაN1-37,25/08/2023წ. ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების შემუშავებისთვის საჭრო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სასკოლო სასწავლო გეგმა(კონცეპტუალური ნაწილი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხური);
- სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის კითხვარი;
- სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი რომლის შექმნაში ჩართული იყო სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის მიზანს, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესს, აღნიშნული დოკუმენტების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს, რისთვისაც, სტრატეგიული დაგეგმვისას სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას უშუალოდ დაგეგმვის პროცესში, ასევე შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარებას. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, უზრუნველყოფს ინფორმაციის შეგროვებას, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრავს სკოლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და საფრთხეებს. ჩატარებული სამუშაოების შემდგომ, არსებული შესაძლებლობის ფარგლებში. აფასებს საფრთხეებს, რაც საშუალებას იძლევა სკოლა მზად დახვდეს გამოწვევებს. სამუშაო ჯგუფი ასევე შეიმუშავებს სკოლის განვითარების სტრატეგიული მიზნების და განვითარების გეგმის სამუშაო ვერსიას, რის შემდეგაც უზრუნველყოფს დოკუმენტის სკოლის დირექტორისათვის წარდგენას. სკოლის დირექტორი უზრუნველყოფს დოკუმენტის საზოგადოებისათვის გაცნობას, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების საბოლოო სახით ფორმირების შემდეგ დოკუმენტი წარედგინება სკოლის სამეურვეო საბჭოს. წარმოდგენილი დოკუმენტის შესწავლისა და სკოლაში ვიზიტის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები; **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლას აქვს შვიდწლიანი (2023-2030 წწ.) სტრატეგიული გეგმა, რომელზეც სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგიასთან ერთად იმუშავა სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა დაფუძნებულია სკოლის მისიაზე, ხედვასა და ღირებულებებზე; გათვალისწინებულია შესაბამისი მიზნები და ამოცანები მოცემულ ვადებში შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად მომავალი სასწავლო წლის დაწყებამდე. დაწესებულების წარმომადგენლების მიერ ხდება აღნიშნული დოკუმენტის გადახედვა საჭიროებიდან გამომდინარე შეასძლოა გადაიხედოს, პრიორიტეტები და აქტივობები, საჭირო გახდეს

ცვლილების შეტანა სტრატეგიული განვითარების გეგმაში. სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, სკოლის მეთოდოლოგიით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია წინარე გამოცდილების შესწავლას, ხდება არსებული მდგომარეობის შეფასება, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება. ორგანიზაციის სტრატეგიული გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია ზოგადი პრიორიტეტები. სტრატეგიულ გეგმაში სკოლა განსაზღვრავს, თუ რა მიმართულებით სურს სკოლას განაგრძოს განვითარება. სამოქმედო გეგმის შედგენისას სკოლა ერთი მხრივ ხელმძღვანელობს სტრატეგიული მიზნებიდან და ამოცანებიდან, ხოლო მეორე მხრივ, ითვალისწინებს ყოველწლიური თვითშეფასების შედეგებს. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლას აქვს ერთწლიანი (2024-2025სასწ.წ.) სამოქმედო გეგმა, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ხდება სკოლის სამოქმედო გეგმის ყოველწლიური თვითშეფასება, კათედრის თავმჯდომარეებისა და კლასის დამრიგებლების ანგარიშების საფუძველზე; სკოლამ ასევე განახორციელა სასკოლო საზოგადოების საჭიროებების კვლევა. ეს სკოლას დაეხმარა მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. სკოლა სკოლის სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით ყოველწლიურად შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გამოყოფილია ძირითადი მიმართულებები, როგორიცაა საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება, ორგანიზაციული პროცესების ეფექტური ფუნქციონირება, მასწავლებელთა და სკოლის პერსონალის პროფესიული განვითარება, აღნიშნული მიზნების განხორციელებისათვის გაწერილია შესაბამისი აქტივობები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლას აქვს სამოქმედო გეგმა, რომელშიც გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები და ინტერესები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები, რეალისტური ვადები, აქტივობები. სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა შექმნილია სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ამოცანები ჩაშლილია კონკრეტულ აქტივობებად. მითითებულია შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები, შესრულების ვადები, ინდიკატორები და რესურსები. სამოქმედო გეგმის განხილვის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დოკუმენტში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რომელთა განხორციელებაც რეალისტურია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; სამეურვეო საბჭოს ოქმი ;
- სკოლის სამოქმედო გეგმის ანგარიში სასკოლო საზოგადოებისთვის;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგების ანალიზი;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, როგორც აღნიშნული დოკუმენტიდან ირკვევა, სკოლა მონიტორინგში მოიაზრებს სტრატეგიული გეგმის ფარგლებში განსაზღვრული კონკრეტული ამოცანების მიმართ პროგრესის შემოწმებას. მონიტორინგისთვის სკოლას განსაზღვრული აქვს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდი. სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების მონიტორინგის და შეფასების საფუძველზე სკოლა აანალიზებს შეუსრულებელი ან ნაწილობრივ შესრულებული აქტივობების. ეფექტურობას. ამ ინფორმაციის ანალიზი დაწესებულებას ეხმარება შემდგომი წლის დაგეგმვის პროცესი უკეთესად წარმართოს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლა შვიდწლიან სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშს განახორციელებს 3 (სამ) წელიწადში და მეშვიდე წელს, შესაბამისად, სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს. ერთწლიანი სასწავლო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სასწავლო წლის მიმდინარეობისას მუდმივად და თითოეული სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს სტარტეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სამეურვეო საბჭო ისმენს ანგარიშს

ერთწლიანი გეგმის შესრულების თაობაზე, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია. აანალიზებს რა შესრულდა და რა ვერ შესრულდა, რა იყო შეუსრულებლობის მიზეზები. შეფასების შედეგებიდან გამომდინარე კი, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. შესრულებული გეგმის ანალიზი წარმოადგენს შემდეგი დაგეგმვისა და ინსტიტუციის მდგრადი განვითარების ერთ-ერთ მთავარ ინფორმაციას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, სტრატეგიული გეგმის ანგარიშები წარედგინება სასკოლო საზოგადოებას და განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე. ამ მუხლით განსაზღვრული შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის. კერძოდ, სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შეფასების შედეგები დაწესებულებას ეხმარება გააანალიზოს მის მიერ დაშვებული შეცდომები და შემდგომი წლის დაგეგმვის პროცესი უკეთესად წარმართოს. მიღებული გამოცდილება გაითვალისიწინოს შემდეგი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ფორმირებისას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს ცვლილებები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კათედრების ანგარიშები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანალიზი, მონიტორინგის შედეგი;
- სკოლის საჭიროების კვლევის ანალიზი მასწავლებელთა უკუკავშირის მიხედვით;
- სკოლის საჭიროების კვლევის ანალიზი მოსწავლეთა უკუკავშირის მიხედვით;
- სკოლის საჭიროების კვლევის ანალიზი მშობელთა უკუკავშირის მიხედვით;
- მასწავლებელთა რეფლექსიების ბმულები;
- სკოლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში სასკოლო საზოგადოებისთვის;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლაში მოქმედი სტრუქტურული რგოლები: სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, პედაგოგიური საბჭო და 7 კათედრა:

- **სახელმწიფო ენის კათედრა,** რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ენა და ლიტერატურის მასწავლებლები;
- **მათემატიკისა და ტექნოლოგიების კათედრა,** რომლის შემადგენლობაშიც შედიან მათემატიკის, ჭადრაკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლები;
- **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა,** რომლის შემადგენლობაშიც შედიან ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის მასწავლებლები;
- **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა,** რომლის შემადგენლობაშიც შედიან მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, საქართველოს ისტორიის, მოქალაქეობის, გეოგრაფიის, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების, სამოქალაქო განათლების პროექტის, არჩევითი საგნების (მსოფლიო კულტურა, სახელმწიფო და სამართალი, გარემო და მდგრადი განვითარება) მასწავლებლები;
- **უცხოური ენების კათედრა,** რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური ენისა და მეორე უცხოური ენების, (რუსული, გერმანული), არჩევითი საგნის (ფრანგული ენის) მასწავლებლები;
- **ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა,** რომლის შემადგენლობაშიც შედიან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პროექტის, მუსიკის პროექტის, სპორტისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები;

- **დაწყებითი საფეხურის კათედრა,**

მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მანდატურის სამსახური, დირექცია, ადმინისტრაცია. სკოლის თანამდებობრივი სტრუქტურა შედგება: სკოლის დირექციის, ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალისა და მასწავლებლებისაგან. სკოლის დირექცია შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილისა და ბუღალტრისაგან. სკოლის ადმინისტრაცია შედგება სპეციალური მასწავლებლების, საქმის მწარმოებლის, ბიბლიოთეკარის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორისაგან, ხოლო ტექნიკური პერსონალი შედგება დარაჯებისა და დამლაგებლებისაგან. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების, ბრძანებებისა და სკოლის შინაგანაწესის მიხედვით. გარდა ამისა, მასწავლებლის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სტრუქტურული პირების/ერთულების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი და დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი, რომლებშიც ასახულია სკოლის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების უფლება–მოვალეობები და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების, ბრძანებებისა და სკოლის შინაგანაწესის მიხედვით. როგორც ადმინისტრაციასთან და სხვადასხვა სტრურტურული ერთეულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, თითოეული რგოლი პასუხისმგებლობით ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, რაც ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ - ქალაქ რუსთავის N 7 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- ბრძანება დამრიგებლის მუშაობის დებულების შესახებ;
- ბრძანება კათედრის დებულების დამტკიცების შესახებ;

- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- კათედრის დებულება;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- სტრუქტურა
- სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი;
- საშტატო ნუსხა,
- შრომითი ხელშეკრულების ნიმუშები;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**
   სკოლის პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება სსიპ - ქალაქ რუსთავის N7 საჯარო სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული (შრომის კოდექსში შესული ცვლილებების გათვალისწინებით), შრომითი ხელშეკრულების, ბრძანებების, შინაგანაწესისა და ეთიკის კოდექსების მიხედვით. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174 ბრძანებით დამტკიცებული, მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე დაყრდნობით.. სკოლას აქვს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები უფროს, წამყვან, მენტორ, სპეც მასწავლებლებთან, შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება სსიპ - ქალაქ რუსთავის N7 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტს. ამ დოკუმენტის შესაბამისი თავებით განსაზღვრულია ახალი კადრის საჭიროება; სკოლის პერსონალის მოზიდვა, პერსონალის შერჩევა; პერსონალის შენარჩუნება, კონფიდენციალურობა; კორპორაციული ეთიკა, დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ფუნქციების დელეგირების მექანიზმი. კონკრეტულად, კი გაუთვალისწინებელი გარემოების გამო სკოლაში

გამოუცხადებლობის შემთხვევაში მასწავლებელი ვალდებულია, აცნობოს დირექტორს/ დირექტორის მოადგილეს აღნიშნულის შესახებ. მოადგილე ვალდებულია, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მოახდინოს რეაგირება- საგაკვეთილო ცხრილში ცვლილების სახით. გაკვეთილი ჩაატაროს სხვა იმავე საგნის მასწავლებელმა/ შემცვლელმა მასწავლებელმა. გადანაცვლებული გაკვეთილების აღრიცხვა ხდება სპეციალურ ჟურნალში, რომელიც დამოწმებულია დირექტორის ბეჭდით; **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლაში მოქმედებს თანამშრომლების შერჩევის წესი, რომელიც ჩართულია სსიპ- ქალაქ რუსთავის N7 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. სკოლის მასწავლებელების შერჩევისას გათვალისწინებულია შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნები. პედაგოგთა შერჩევა ხდება შიდა და ღია კონკურსის საფუძველზე საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და რესურსცენტრის წარმომადგენელთა მონაწილეობით. სკოლაში საგნის ვაკანტური საათების არსებობის შემთხვევაში, ვაკანსია ივსება შიდა და ღია კონკურსის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება შემცვლელი ან მოწვეული (არაუმეტეს 9 საათისა) მასწავლებლის აყვანა. სკოლის დირექტორი დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, სკოლაში მასწავლებლის ვაკანტური პოზიციას ავსებს შიდა კონკურსის გამოცხადების გარეშე, ღია კონკურსის მეშვეობით. შიდა კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ შესაბამის სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელს. შესაბამისად, თუ გამოცხადებულია შიდა კონკურსი სკოლა ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს: ა) სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება ვაკანტური საათების შესავსებად შიდა კონკურსის გამოცხადების/კანდიდატთა განაცხადების მიღების ვადები და პირობები. ბ) დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია. ღია კონკურსის გამოცხადება ხდება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – ბრძანების საფუძველზე, რომლითაც, ასევე განისაზღვრება კონკურსის ვადები, პირობები, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა და სხვა. განცხადება ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ ქვეყნდება საჯაროდ, ინტერნეტ სივრცეში არსებულ დასაქმების ვებგვერდზე – http://teacherjobs.ge/-ზე, ხოლო განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება სკოლის მასწავლებლებისათვის ხელმისაწვდომ ადგილას-სკოლის სამასწავლებლოში, საინფორმაციო დაფაზე. სკოლა უფლებამოსილია ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია დამატებით განათავსოს სკოლის ვებგვერდზე, სოციალურ ქსელებსა და ბეჭდვით ორგანოებში. სკოლის მიერ მუშავდება კრიტერიუმები და აუცილებელი მოთხოვნები, რომლებიც გამჭირვალეა. კონკურსანტის მხრიდან პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში იქმნება საპრეტენზიო კომისია. პრეტენზიის დაფიქსირების უფლება კანდიდატს აქვს გადაწყვეტილების გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში. განცხადება შიდა კონკურსის შესახებ ქვეყნდება საჯარო სკოლაში ყველა მასწავლებლისათვის ხელმისაწვდომ ადგილას. კანდიდატებს განაცხადების წარდგენა

შეუძლიათ სკოლის მისამართზე ან ელექტრონულ ფოსტაზე. განცხადებების წარდგენის ვადა არ არის 5 სამუშაო დღეზე ნაკლები. კონკურსის ეტაპებია: საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით მიღებული განაცხადების გადარჩევა; გასაუბრება; კონკურსის შედეგების განსაზღვრა. კონკურსის ეტაპების დასრულებისას დგება შესაბამისი ოქმი. გადაწყვეტილების მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, კომისია თითოეულ კანდიდატს ელექტრონულად ან/და წერილობით აცნობებს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილებას. არჩეული მასწავლებელი მოინიშნება teachersjob.ge-ზე. დადასტურების შემდეგ საქმეთა მმართველი ასახავს eSchool-ის ბაზაში. ფორმდება ხელშეკრულება, იწერება ბრძანება და განისაზღვრება ვალდებულებები. სკოლაში არსებობს პერსონალის პირადი საქმეები, როგორც ელექტრონულად ასევე მატერიალურად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დასაქმებული პერსონალი არის დაკავებული პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, რასაც ადასტურებს კვალიფიკაციის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია eSchool-ის ბაზაში და მატერიალური ფორმით, რომლებიც ინახება სკოლაში. სკოლას ჰყავს 48 უფროსი, მათ შორის 4 სპეც. მასწავლებელი, 16 წამყვანი, 2 მენტორი, 5 ასისტენტი. ყველა მასწავლებელს აქვს შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი სქემით მინიჭებული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, ცნობა ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ. მასწავლებლებისა და სკოლის პერსონალის სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები დაწვრილებითაა აღწერილი „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტსა და დასაქმებულ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტში. სკოლის ბუღალტრის, საქმისმწარმოებლის, საინფორმაციო მენეჯერის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის, ასისტენტის, ბიბლიოთეკარის, დამლაგებლის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლაში არსებობს თანამშრომლობითი კულტურა. შეთანხმებულად მუშაობენ კათედრები, პედაგოგები, დირექციის წარმომადგენლები, მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრები. საჭიროების შემთხვევაში იქმნება სამუშაო ჯგუფები, კომისიები. წარმატებული პრაქტიკაა აზრთა და გამოცდილებათა გაზიარება, პრობლემური საკითხების ერთობლივი განხილვა,

კურიკულუმებზე გუნდური მუშაობა, უკუკავშირების მიწოდება და გათვალისწინება, რასაც ადასტურებს პედსაბჭოსა და კათედრის ოქმები. სკოლაში ხორციელდება რამდენიმე სასკოლო პროექტი: ,,ჯანსაღი ცხოვრება-შენი არჩევანია", ,,გახდი კულტურული მემკვიდრეობის დამცველი", ,,ბაღი მომავლისთვის", ,,აირჩიე სიკეთე",,,დაგმე ვანდალიზმი",მომავლის სკოლა– „ეპიკური სკოლა''(STEM საგნების თანამშრომლობა).,რაც თავისთავად აყალიბებს თანამშრომლობით კულტურას და ხელს უწყობს გუნდურობის პრინციპების დანერგვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლა აღიარებს და მხარს უჭერს სასკოლო საზოგადოების წევრთა წარმატებებს. სკოლის სოციალურ გვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია მოსწავლეთა, პედაგოგთა წარმატებების შესახებ. ესენია ოლიმპიადებს, კონკურსებსა თუ ეროვნული გამოცდების შედეგებს, კონფერენციებში წარმატებულ მონაწილეობას, პროექტებში მონაწილეობას,. წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მიზნით, სკოლის სოციალურ გვერდზე ვრცელდება ინფორმაცია განხორციელებული აქტივობების შესახებ. ფართოა არაფორმალური განათლების არეალი, სკოლა ჩართულია სხვადასხვა ტიპის პროგრამასა და პროექტში. ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღეს სკოლის მოსწავლეებმა. სკოლის დირექცია წელიწადში ერთხელ შესაძლებლობების ფარგლებში ერთჯერადი ფულადი პრემიითა და სიგელით ახალისებს ღვაწლმოსილ მასწავლებლებს (საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით). სასკოლო კულტურის ნაწილია საუკეთესო პედაგოგიური პრაქტიკის გაზიარება კოლეგებისთვის. დიფერენცირებული მიდგომების დანერგვის შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- თვითმმართველობის პროექტი ,,დაგმე ვანდალიზმი"
- STEM-საგნების თანამშრომლობა-მომავლის სკოლის ,,ეპიკური სკოლის"პროექტი
- სასკოლო საქველმოქმედო პროექტი ,,აირჩიე სიკეთე"
- საშტატო ნუსხა,
- ხელშეკრულებებით უფლება -მოვალეობების განსაზღვარა,
- ფრანგული ენის ვაკანსიის შესახებ ოქმი
- კლუბების სამოქმედო გეგმები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის პრიორიტეტს წარმოადგენს პერსონალის პროფესიული განვითარება. სკოლაში ფუნქციონირებდა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ეხმარებოდა მასწავლებელს გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთაში, საჭიროებების დადგენაში და ეხმარებოდა მათი პედაგოგიური პრაქტიკის ეფექტიანობის გაზრდას მიზნობრივი რეკომენდაციებისა და უკუკავშირის გზით. ამ ეტაპზე ამ ჯგუფის ფუნქციები ნაწილობრივ შეტავსებული აქვს სკოლაში არსებულ ხარისხის მართვის სამსახურსა და საგნობრივ კათედრებს. პედაგოგთა საჭროების შესწავლის საფუძველზე ეწყობა სამუშაო შეხვედრები, ვებინარები სკოლის ლიდერი მასწავლებლების მიერ; პედაგოგების გარდა, სკოლა ასევე ზრუნავს სხვა პერსონალის პროფესიულ ზრდაზე. მაგალითად, სკოლის დაფინანსებით ბუღალტერმა გაიარა ტრენინგები: „საგადასახადო კანონმდებლობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის "ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპები საჯარო სკოლებში", ინვენტარიზაციის ჩატარების და ქონების ჩამოწერის პროცედურები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში . ინტერესი გაჩნდა ხელოვნური ინტელექტის გამოყენების მიმართ. შესაბამისად, მასწავლებლთა უმეტესობამ გაიარა ორო მოდული თემებზე: „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება პრეზენტაციების შესაქმნელად", „ხელოვნური ინტელექტის გამოყენება ტექსტის გენერირებისა და ანიმაციების შესაქმნელად" სკოლა აქტიურად აწვდის მასწავლებლებს ინფორმაციას არსებული ტრენინგების შესახებ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

ხარისხის მართვის სამსახურის დახმარებით დგინდება მასწავლებელთა საჭიროებები, გაიცემა რეკომენდაციები, პედაგოგები ესწრებიან შესაბამის ტრენინგ–მოდულებს, მონაწილეობენ სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ გამართულ მასწავლებელთა კონფერენციებში, ეწყობა საინფორმაციო შეხვედრები, ხდება გამოცდილებათა გაზიარება. სკოლის სხვა კადრიც, საჭიროებებიდან გამომდინარე, იმაღლებს პროფესიული ცოდნის დონეს, მიმართულებების მიხედვით ხდება მასწავლებელთათვის ვებინარებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზება. როგორც პედაგოგებთან გასაუბრებით დასტურდება ლიდერი მასწავლებლების ხელშეწყობით არაერთი შეხვედრა ჩატარდა, რაც სასიკეთოდ აისახა სასწავლო პროცესზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

სკოლის მასწავლებლები ჩართული არიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროცესში. დღევანდელი მონაცემების მიხედვით, სკოლას ჰყავს 48 უფროსი, მათ შორის 4 სპეც. მასწავლებელი, 16 წამყვანი, 2 მენტორი, 5 ასისტენტი. მასწავლებლები მონაწილეობენ სავალდებულო და სხვადასხვა ტრენინგსა თუ აკრედიტებულ პროგრამაში. პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სკოლა დროულად იძიებს და მასწავლებლებს აწვდის ინფორმაციას დაგეგმილი ტრენინგებისა და აქტივობების თაობაზე. პედაგოგების გარდა, სკოლა ასევე ზრუნავს სხვა პერსონალის პროფესიულ ზრდაზე. სკოლას ჰყავს ლიდერი მასწავლებლები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში კოლეგებს ეხმარებიან პროფესიული ზრდის კუთხით. სკოლას ჰყავს ერთი მასწავლებლობის მაძიებელი. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ტუტორი, რომელიც მაძიებელ მასწავლებელს ეხმარება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; სკოლაში მოქმედებს თანამშრომელთა ადაპტირების მექანიზმი, რაც განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, შინაგანაწესითა და სასკოლო კოლეგიალური კულტურით. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლა მუდმივად ითვალისწინებს მასწავლებლების ინიციატივებს და ამ მიზნით, კათედრების მომართვის საფუძველზე, უზრუნველყოფს მათ სხვადასხვა ტიპის რესურსით. სკოლა მხარს უჭერს განვითარებასთან დაკავშირებულ მასწავლებლების შემოთავაზებულ ინიციატივებს. მაგ., 2023 წლიდან მასწავლებლის ინიციატივით სკოლა დარეგისტრირდა eTwinning–ის პორტალზე. ამ პლატფორმაზე მასწავლებლები თანამშრომლობენ ევროპულ სკოლებთან, მათ პედაგოგებთან და იზიარებენ მათ გამოცდილებებს პროექტული სწავლებისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით. სკოლის

მასწავლებლებს ეძლევათ საშუალება, საკუთარი ინიციატივის განსახორციელებლად მიმართონ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასაც: მაგალითად, მოქალაქეობის მასწავლებლისა და ,,ასტროფიზიკის ,, კლუბის ინიციატივით განხორციელდა პროეტი ,,პირველი ტელესკოპი სასკოლო სივრცეში", რომლის თანადამფინანსებელი იყო საერთაშორისო ორგანიზაცია, სკოლას აქვს ტელესკოპი და ახორციელებს ნოვატორულ პროექტს ,,კოსმოსის სამყაროში".**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი,
- ტრენინგების გავლის შესახებ სერტიფიკატები
- ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი;
- მაძიებლის მიერ განხორცილებული აქტივობების მასალები.
- სკოლაში მასწავლებლის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად შიდა კონკურსის ჩატარების წესი ,ბრძანება

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სსიპ - ქალაქ რუსთავის N7 საჯარო სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობები მიმართულია ზგემ-ის შესაბამისი მიზნების დასახვაში, რომელთა მიღწევაც სურს გრძელვადიან პერიოდში. პრიორიტეტები და განსახორციელებელი აქტივობები გაწერილია სკოლის მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში. ამ პროცესში ჩართულია სკოლის ყველა რგოლი: კათედრები, პედსაბჭო, სამეურვეო საბჭო, თვითმმართველობა. სკოლას აქვს ხარისხის მართვის პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებს, რეგულაციებს ხარისხის უზრუნველყოფის დაგეგმვის პროცესში, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლ პირს/სტრუქტურულ ერთეულს ხარისხის უზრუნველყოფის წესს, დასკვნის შედგენა/უკუკავშირს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; სკოლის მიერ იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, გაკეთებულია SWOT ანალიზი. ამის გათვალისწინებით გამოკვეთილია პრიორიტეტები და გაწერილია ყოველწლიური სამოქმედო გეგმა და აქტივობები. ყოველივე ეს უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა პროცესის მიზნობრივ მიმდინარეობას.2023-2024 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის თვითშეფასების საფუძველზე გამოიკვეთა სკოლაში არაფორმალური განათლების მიმართულებით გააქტიურების საჭიროება 2024-2025 სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით გააქტიურებულია არაფორმალური განათლების მიმართულებები. აქტიურად მუშაობს ადმინისტრაცია, კათედრები, შექმნილია კლუბები: ლიტერატურის მოყვარულთა კლუბი, ახალგაზრდა მკვლევართა კლუბი,ახალგაზრდა ექიმთა კლუბი, ნორჩ-ქიმიკოსთა კლუბი ,,კრისტალი“, მათემატიკის მოყვარულთა კლუბი„მოაზროვნეები“, ქართული ენის კლუბი ,,ნორჩი ლინგვისტები", "მოგზაურობა ტექნოლოგიების სამყაროში",კლუბი: სასწრაფო დახმარება მათემატიკაში", კლუბი ,,ჩვენ გვიყვარს ქართული მუსიკა",კლუბი "ჩხირკედელა",ინგლისურის მოყვარულთა კლუბი, ლინგვლოლაბი,ასტროფიზიკოსთა კლუბი ,,კოსმოსი", "ერთად საზოგადოებისათვის",პატარა გიდები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა სკოლაში კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედებს გადაწყვეტილებების გასაჩივრების სისტემები. დისციპლინურ გადაცდომებს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი, ნიშნის ამაღლების სურვილის შემთხვევაში მშობელი მიმართავს დირექციას გამოცდის მოთხოვნით, გასაჩივრების შემთხვევაში მოქმედებს გასაჩივრების პროცედურები, იქმნება სააპელაციო კომისია. გადაწყვეტილებების გასაჩივრების სისტემა

მიუკერძოებელია და ეფუძნება სამართლიანობის პრინციპს. პროცედურები გაწერილია შინაგანაწესში. 2024-2025 სასწავლო წლის პირველი სემესტრის დამთავრებისას სემესტრული გამოცდის დანიშვნის ინიციატივით სკოლას მომართა ორი მოსწავლის მშობელმა. სემესტრული გამოცდა ჩატარდა დადგენილი წესის შესაბამისად. ერთ მოსწავლეს აუმაღლდა საგნის(ისტორია) ნიშანი, მეორეს-სამივე საგანში (ხელოვნება, მათემატიკა, ქიმია) დაუდაბლდა. შემუშავებულია და დამტკიცებული სკოლაში შემოსული განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.** სსიპ - ქალაქ რუსთავის N7 საჯარო სკოლის წესდებას წარმოადგენს საქათველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N448 ბრძანება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ''. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც მოცემულია სკოლის პრიორიტეტები, სკოლის სტრუქტურა, სასწავლო პროცესის ეფექტურად მართვის მექანიზმები, სასწავლო პროცესის მონაწილეთა უფლებამოსილებები და ვალდებულებები, სკოლასა და მოსწავლეთა მშობლებს (ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს) შორის ურთიერთობათა პირობები, თანამშრომელთა მიღების წესი, მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მათი შეზღუდვის საფუძვლები, ადმინისტრაციის, პედაგოგებისა და ტექნიკური პერსონალის შრომის ანაზღაურების წესი, სამუშაო დროის ხანგრძლივობა, შესვენებისა და დასვენების დრო, დისციპლინური გადაცდომების ამომწურავი ჩამონათვალი, თანამშრომელთა და მასწავლებელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, წახალისებისა და დისციპლინური სახდელების გამოყენების პრინციპები. სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა, როგორც მიღების, ასევე გათავისუფლებისა და წახალისების გამჭვირვალე სისტემა, რაც ასახულია სკოლის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში და შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. მასწავლებლებთან და ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც რეგისტრირებულია შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ბრძანება სემესტრული გამოცდის შედეგების დამტკიცების შესახებ;

- სემესტრული გამოცდის კომისიის შექმნის ბრძანება;
- სემესტრული გამოცდის შედეგების ოქმი;
- სკოლასა და მშობელს შორის დასადები ხელშკრულება;
- სკოლაში შემოსული განცხადებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა;
- სკოლის შინაგანაწესის შესახებ ღონისძიების პრეზენტაცია;
- სკოლის შინაგანაწესი ;
- შრომითი ხელშეკრულების ფორმა,

შეფასება:

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა ინფორმირების წესი გამჭირვალეა და იძლევა მათგან უკუკავშირის მიღების საშუალებას. სკოლა ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მშობელმა ითანამშრომლოს დირექციასთან, მასწავლებლებსა და სხვა დასაქმებულ პირებთან, რაც უზრუნველყოფს საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდებას. სკოლის სხვადასხვა სამართლებრივი აქტითა და დოკუმენტაციით განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი. სკოლის დირექცია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, დაინტერესებული პირებისთვის აწყობს ღია კარის დღეს, რომლის საშუალებითაც წარადგენს სათანადო წესით დამოწმებულ სკოლის შინაგანაწესსა და სასკოლო სასწავლო გეგმას: მზაობას მოსწავლეთა მიღებისა და შემდგომი პროცესების თაობაზე. სასწავლო წლის დასაწყისში, იმართება კრება, სადაც

დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, ასევე აწვდიან ინფორმაციას იმ ღონისძიებების შესახებ, რომელთა განხორციელებაც იგეგმება სასწავლო წლის განმავლობაში. გარდა ამისა, იმართება დამრიგებლისა და უშუალოდ საგნის პედაგოგების შეხვედრები მშობლებთან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხზე. მასწავლებლების ინფორმირებისათვის გამოიყენება ონლაინ და პირისპირ შეხვედრები, სოციალური ქსელები, TEAMS-ის პლატფორმა, ელექტრონული ფოსტა, საინფორმაციო დაფები. სკოლის ფეისბუქგვერდზე რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაციები ცვლილებების, დაგეგმილი ღონისძიებების, სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალები, რაც უზრუნველყოფს საჯაროობის პრინციპსა და უკუკავშირის მიღებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2.უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სასკოლო ცხოვრებისა და მართვის პროცესებში ჩართულია სასკოლო საზოგადოებისა და თემის წარმომადგენლები, სამეურვეო საბჭოში და დისციპლინურ კომიტეტში შესული არიან მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლები. სამეურვეო საბჭოს არჩევნები კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს და გამჭირვალეა. მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა სკოლის ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს: მშობელთა ჩართულობით სკოლაში ტარდება სხვადასხვა სპორტული, შემეცნებითი თუ შემოქმედებითი ღოსისძიება. სკოლის ფარგლებში ხორციელდება პროექტი ,,მშობლები მასწავლებლების ნაცვლად"; მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებიც ყოველწლიურად გეგმავენ და ახორციელებენ პროექტს,რომლის ფარგლებშიც ირგებენ როგორც მასწავლებლებისა და მანდატურების,ისე დირექციის წარმომადგენლების როლს. მოქმედებს შინაგანაწესით განსაზღვრული მშობელთა ინფორმირების წესი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კითხვარები სასკოლო საზოგადოების ჩართულობის შესახებ;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის /კომუნიკაციის წესი
- მშობელთან ურთიერთობის დებულება
- სასკოლო საზოგადოების ჩართულობით ჩატარებული ღონისძიებების ამსახველი ბმულები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სსიპ - ქალაქ რუსთავის N7 საჯარო სკოლაში სწავლა მიმდინარეობს ორ ცვლაში. სკოლა მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისა და თანამშრომლებისთვის ქმნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს. სკოლაში 24 საათის განმავლობაში დაცულია: სკოლას ჰყავს მორიგე დამლაგებელი და 2 დარაჯი, რომლებიც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას და მის შემდგომ პერიოდში უზრუნველყოფენ სკოლაში გარეშე პირების გადაადგილების კონტროლს. სკოლას ჰყავს 3 მანდატური, ფუნქციონირებს ვიდეოსათვალთვალო სისტემა: სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი კონტროლდება 87 მაღალი ხარისხის ვიდეოკამერით; სკოლის მანდატურის სამსახურის წარმომადგენელთა ჩართულობით მოქმედებს რეფერირების წესი; სკოლაში დირექტორის ბრძანებით არის განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. ასევე დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები. სკოლაში სამივე სართულზე გამოკრულია ევაკუაციის გეგმა და დამონტაჟებულია 12

ცეცხლმაქრი, დაწესებულია მორიგეობა, შექმნილია მრჩეველთა საბჭო, სკოლაში არჩეულია დისციპლინური კომიტეტი. (2 მშობელი, 2 მასწავლებელი, 2 მოსწავლე); ვინაიდან სკოლა ახლად რეაბილიტირებულია და კომპანიას სკოლასთან არ გაუფორმებია მიღება-ჩაბარების აქტი, სკოლამ დასკვნის პროექტის წარდგენის შემდეგ გადმოგზავნა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ. ექსპერტთა ვიზიტამდე სკოლამ წერილობით მიმართა სსიპ - ლევანსამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს. გაფორმდა ხელშეკრულება სკოლასა და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შორის. სკოლამ ასევე მიმართა უფლებამოსილ უწყებას სახანძრო უსაფრთხოების შესახებ, ხოლო უწყებამ განუსაზღვრა რეკომენდაციები. ასევე სკოლამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა უფლებამოსილ უწყებასთან შეთანხმებული. სკოლა აღჭურვილია უახლესი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით.. ასევე, სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

სკოლას მიეცა რჩევა

- **შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის აყვანის თაობაზე.**
- ***შეასრულოს უფლებამოსილი უწყების მიერ მიცემული რჩევები სახანძრო უსაფრთხოების შესახებ***

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას, ვინაიდან სკოლას ჰყავს ექიმი და სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და პირველადი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებით. სკოლის ექიმი უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირია, რომელიც ფლობს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ სახელმწიფო სერტიფიკატს http://www.matsne.gov.ge 43005000022022018149 წესით განსაზღვრულ საექიმო სპეციალობაში და სკოლაში ასრულებს წამყვან, ძირითად საქმიანობას ამ წესით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში. სკოლის ექიმი კომპეტენციის ფარგლებში დაუყოვნებელად რეაგირებს მოსწავლის ან სკოლის პერსონალის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ გადაუდებელ მდგომარეობაზე (ტრავმა, დაზიანება, დამწვრობა, მწვავე ტკივილი, მოწამვლა, ასფიქსია, კრუნჩხვა, შოკი, ცნობიერების მოშლა, ცხელება და სხვა მსგავსი მდგომარეობა); აფასებს მდგომარეობის სიმძიმეს და მშობელთან/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით

იღებს გადაწყვეტილებას სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების შესახებ; პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო დაწესებულების მართვის ელექტრონულ სისტემაში წვდომის ფარგლებში, საჭიროების შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიძიებს არსებულ ინფორმაციას მოსწავლის/პერსონალის ჯანმრთელობის შესახებ და ითვალისწინებს მკურნალობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების დროს; მოსწავლის მდგომარეობის გათვალისწინებით მიმართავს დირექციას (სკოლის ხელმძღვანელობის მიერ შეთანხმებული ფორმით) მათი საგაკვეთილო პროცესიდან განთავისუფლების შესახებ, სამედიცინო შემთხვევებთან დაკავშირებულ მიმართვებს აღრიცხავს სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალში. იქიდან გამომდინარე, რომ სკოლის მოსწავლეთა კონტიგენტი ამჟამად 1000 -ზე მეტია, სკოლას მიეცა რჩევა ექიმის მეორე შტატის დასაშვებად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლაში მომუშავე მანდატურები უზრუნველყოფენ სკოლის ტერიტორიაზე და მის მიმდებარე სივრცეზე უსაფრთხოების დაცვას. სკოლის ყველა მასწავლებელი ასრულებს მასზე დაკისრებულ მორიგეობის ფუნქციას. მორიგე მასწავლებლები აკონტროლებენ როგორც დასვენებებზე მოსწავლეთა დისციპლინას, ისე პირველი და მეორე ცვლის სკოლაში შემოსვლის პროცესს. კლასის დამრიგებლების მიერ შემუშავებულია კლასში მორიგეობის განრიგიც. სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მორიგე დამლაგებლის მიერ კონტროლდება მასწავლებლების მიერ სკოლაში შემოსული ყველა სუბიექტის მოსვლის მიზეზი, რომელიც ტარდება სპეციალურ ჟურნალში. კლასის ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან, მოსწავლის მიერ წესრიგის დარღვევის შემთხვევაში შეტყობინება მიაწოდონ მშობელს. სკოლაში დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები(სულ 87), რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლის მანდატურის სამსახურის წარმომადგენელთა ჩართულობით მოქმედებს რეფერირების წესი, სოციო–ემოციური თვალსაზრისით შექმნილია ჯანსაღი, მდგრადი და სტაბილური გარემო, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ფსიქოლოგიურ და ემოციურ უსაფრთხოებას. რეფერირების პროცედურებში აქტიურადაა ჩართული სკოლის მანდატურის სამსახური. ეწყობა ერთობლივი შეხვედრა დირექციის, დამრიგებლის, მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებსა და მშობლებს შორის, ხდება მოსწავლის საკეთილდღეოდ გადაწყვეტილებების მიღება. კლასის დამრიგებლები კლასის საათზე განიხილავენ მოსწავლეთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ; დისკრიმინაციის წინააღმდეგ;

ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ; ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. სკოლა აქტიურად მუშაობს არაფორმალური განათლების ხელშეწყობის კუთხით. ხორციელდება უამრავი სოციალური თუ სასწავლო პროექტი, რომლებიც უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის უსაფრთხო და სასწავლო პროცესზე მორგებული გარემო; სკოლაში არის უწყვეტი ელექტროენერგია, შენობის ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილი, სკოლაში არის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სასმელი წყალი და წყლის დისპენსერი. შენობაში ასევე დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა. თითოეულ საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი და ელექტრო განათება, ყველა სასწავლო ოთახს აქვს ორი ან მეტი ფანჯარა. სკოლაში დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მექანიზმები .**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლაში პერსონალური მონაცემები მუშავდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლას აქვს ბრძანებით დამტკიცებული ,, პერსონალური მონაცემების დაცვის წესის“,რომელშიც განსაზღვრულია მონაცემთა დამუშავების მიზნები და პრინციპები , მონაცემების დაცვა ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას, განსაზღვრულია სკოლის რომელ თანამშრომელს აქვს წვდომა კონკრეტულ მონაცემზე და სხვ. ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ “საქართველოს კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ რუსთავის №7 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრად 2025 წლის 20 მარტიდან განისაზღვრა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ რუსთავის საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელი. სკოლას დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. .**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროება არ ხდება, კონფიდენციალურია. საარქივო მასალები ინახება დაცულ სივრცეში. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული სკოლის არქივზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა და მოსწავლის სტატუსის მინიჭება ხდება კანონით განსაზღვრული წესის დაცვით. სკოლა ახდენს ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში (Eschool.emis.ge) მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის ასახვას, მოძრაობის აღრიცხვას (პირველკლასელთა რეგისტრაციას, მოსწავლეთა მობილობას, სტატუსის შეჩერება/აღდგენას და ა.შ) სკოლას სრულყოფილად აქვს წარმოებული Eschool– ის ბაზა. სკოლა უზრუნველყოფს ინფორმაციის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის, კერძოდ, იმ კანონმდებლობისა, რომელიც

განსაზღვრავს სკოლაში მოსწავლის მიღებას. აღნიშნული ინფორმაცია გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე, პირადი კომუნიკაციით, დირექცია და დამრიგებლები უზიარებენ სასკოლო თემს. მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება ხდება კანონის შესაბამისად დადგენილი ნორმების მიხედვით, მშობელთა თანხმობით. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს ინტერნეტს, რომელზეც დაყენებულია პაროლი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირებას, პერიოდულად შეისწავლის და აფასებს აღნიშნული მექანიზმების მუშაობის გამართულობას. ამ მიზნით სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო რომლის შემადგენლობაში შედიან: დირექტორი, მანდატურის სამსახურის წარმომადგენელი, დისციპლინური საბჭოს თავმჯდომარე, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, რესურცენტის წარმომადგენელი. წელიწადში მინიმუმ ოთხჯერ ტარდება მრჩეველთა საბჭოს სხდომა, ამ სხდომაზე განიხილება სკოლის ტერიტორიაზე, სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით არსებულ სიტუაციას და შეიმუშავებენ რეკომენდაციებს. ხოლო სასწავლო წლის ბოლოს დირექტორი წარადგენს ანგარიშს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება არქივის პასუხისმგებელი პირის შესახებ,
- ბრძანება უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ;
- ბრძანება თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან დაკავშირებული წესების დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის სამუშაო აღწერილობისა და ანგარიშვალდებულების საკითხის განსაზღვრის შესახებ;
- ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესახებ;ბრძანება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე
- უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ;
- ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;

- თამბაქოს აკრძალვასთან დაკავშირებული წესები;
- მიმართვა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ;
- ხელშეკრულება სამხარაულთან საექსპერტო მომსახურების შესახებ;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები; დირექტორის ანგარიში;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა;
- საევაკუაციო გეგმა;
- სახანძრო უსაფრთხოების შესახებ მიმართვა უფლებამოსილ ორგანოსთან;
- წერილი ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დოკუმენტაციის გამოთხოვის შესახებ;
- ექიმის სერტიფიკატი
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მექანიზმები;
- მასწავლებელთა მორიგეობის ცხრილი,

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

2008 წელს უზურფუქტის ხელშეკრულებით სსიპ - ქალაქ რუსთავის N7 საჯარო სკოლას სარგებლობის უფლებით გადაეცა 27116, 77 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები საერთო ფართით 3345, 85კვ.მ. სკოლის შენობა

რეაბილიტირდა 2024 წელს. ვინაიდან სკოლის რეაბილიტაციაზე პასუხისმგებელ კომპანიას სკოლასთან არ გაუფორმებია მიღება-ჩაბარების აქტი, სკოლას ჯერ არ აქვს საჯარო რეესტრიდან ახალი ამონაწერი. სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 2 ცვლაში; ძირითადი შენობა არის 3 - სართულიანი, რომელიც გადასასვლელი ხიდით უკავშირდება სპორტული დარბაზის, სააქტო დარბაზისა და ბუფეტის შენობას. მთავარი შენობის პირველ სართულზე განთავსებულია: ექიმის, დირექტორის, საქმისმწარმოებლის, ბუღალტრის კაბინეტები, მანდატურის ოთახი, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, 7 საკლასო ოთახი; 6 სველი წერტილი; მეორე სართულზე განთავსებულია სამასწავლებლო, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, კომპიუტერული ლაბორატორია; 7 საკლასო ოთახი და 6 სველი წერტილი; მესამე სართულზე განლაგებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, 9 საკლასო ოთახი და 6 სველი წერტილი. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებითა და სასკოლო დაფით. საგნებისთვის საჭირო თვალსაჩინოებები განლაგებულია ლაბორატორიაში. სკოლას აქვს ქიმია-ბიოლოგიისა და ფიზიკის ლაბორატორიები, ასევე კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია მოსწავლისა და მასწავლებლის 27კომპიუტერი; სკოლაში არსებული ტექნიკიდან ექსპლუატაციისათვის ვარგისია 9 ქსეროქსის აპარატი, 17 პროექტორი,106 ლეპტოპი,30 პერსონალური კომპიუტერი; სკოლას აქვს 790 მერხისა და სკამის კომპლექტი. ყველა მოსწავლეს აქვს ინდივიდუალური მერხი და სკამი, რომლებიც შეესაბამება მოსწავლის ასაკსა და საფეხურს. დადგენილი კანონმდებლობის სესაბამისად ხდება ინვენტარიზაცია და ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტები, იქმნება შესაბამისი დოკუმენტები. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის საერთო სივრცეებით, ინფრასტრუქტურით, მატერიალური რესურსებით სარგებლობა შეუძლია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს. სკოლას აქვს სააქტო დარბაზი. ბიბლიოთეკასა და სააქტო დარბაზში იმართება ღონისძიებები, კლუბური მუშაობები და სხვადასხვა სახის შეხვედრები. სკოლას აქვს ორი რეკრიაციული სივრცე, რომლებიც გამოიყენება კლუბების შეხვედრებისა და შემოქმედებითი აქტივობებისთვის. კომპიუტერულ ოთახში განთავსებულია კომპიუტერები. აქ ტარდება ისტ-ის გაკვეთილები და სხვადასხვა საგნის ინტეგირებული გაკვეთილი ტექნიკის გამოყენებით. სკოლის გარე სპორტული მოედნის რეაბილიტაცია დაიწყო 2023 წლის გაზაფხულზე, თუმცა სკოლის სრული რეაბილიტაციის დაწყების გამო პროცესი შეჩერდა. სკოლამ გარე სპორტული მოედნის მოწყობის თხოვნით მიმართა როგორც რუსთავის მერიას, ისე საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინფრასტრუქტურის სამსახურს. დაგეგმილია რეაბილიტაციის პროცესის განახლება. სკოლაში არის უწყვეტი ელექტროენერგია, შენობის ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები, მუდმივად არის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო სასმელი წყალი. შენობაში ასევე დამონტაჟებულია

ცენტრალური გათბობა. თითოეულ საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი და ელექტროგანათება, ყველა სასწავლო ოთახს აქვს სამი ფანჯარა **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას დადგენილი წესის მიხედვით; სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სკოლაში მოქმედებს ბიბლიოთეკის დებულება. დაწესებულებაში დასაქმებულია ბიბლიოთეკარი, სკოლაში დაცულია საბიბლიოთეკო წესით რეგისტრირებული სახელმძღვანელოები, მხატვრული და პროფესიული ლიტერატურა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლაში ადაპტირებულია გარემო, რომელიც მორგებულია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე. სკოლას ჰყავს 4 სპეციალური მასწავლებელი და 5 ასისტენტი. სკოლაში დამონტაჟებულია ლიფტი სსსმ მოსწავლეებისათვის. მოწყობილია პანდუსები. საჭიროების შემთხვევაში ეტლით მოსარგებლეს შეეძლება დაუბრკოლებლად გადაადგილება სკოლის გარე და შიდა სივრცეში, სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული რესურსოთახი თავისი ინდივიდუალური და ადაპტირებული საპირფარეშოებით. რესურსოთახი აღჭურვილია კომპიუტერით, ტაქტილური აღქმის სხვადასხვა რესურსით: საძერწი, მარცვლეული, ფანქრები, საღებავები, თაბახის ფერადი და თეთრი ფურცლები, ფაზლები. კუბიკები, რიცხვების ლოტო, სსსმ მოსწავლეებთან სასწავლო პროცესი ხორციელდება უნივერსალური დიზაინით, მრავალი სენსორული აღქმის მეშვეობით საგნისა და სპეციალური მასწავლებლები გეგმავენ გაკვეთილებს, ახდენდნენ საგანთა შორის ინტეგრაციას, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, ახდენენ რესურსების მოძიებას/ შექმნას მოსწავლის საჭიროებისამებრ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სოციო–კულტურული თვალსაზრისით შექმნილია ჯანსაღი, მდგრადი და მიმზიდველი გარემო, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა დადებითი ფსიქოლოგიური და ემოციური განწყობის შექმნას. ამას ხელს უწყობს სკოლის ინფრასტრუქტურაც, რომელიც საჭიროებისამებრ ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის. სკოლის ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს მოსწავლეთა არაფორმალური განათლება, რის საშუალებასაც იძლევა სკოლის ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, თავისუფალი სივრცეები სკოლის ფოიეში, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები. საერთო სარგებლობის გამწვანებული სივრცე ეზოში. პირველ სართულზე განთავსებულია სპორტული დარბაზი, სადაც იმართება სპორტული აქტივობები. დარბაზი აღჭურვილია სპორტული ინვენტარით. სკოლა

აქტიურადაა ჩართული სასკოლო ღონისძიებებსა და ტურნირებში ქალაქისა და რეგიონულ დონეზე. კალათბურთის, ფეხბურთისა და ფრენბურთის ინვენტარი, რომლითაც ხორციელდება სხვადასხვა სპორტული აქტივობა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
- წერილი ინფრასტრუქტურას ღია სპორტული მოედნის მოწყობასთან დაკავშირებით;
- სკოლის სივრცეების ფოტომასალა;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას:** სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება IT ტექნოლოგიები. სკოლას აქვს 1 კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია 27 უახლესი კომპიუტერითა და 1 პროექტორით. ასევე , დამატებით, პერსონალური კომპიუტერები განთავსებულია კანცელარიაში, ბუღალტრის ოთახსა და ბიბლიოთეკაში. სკოლაში ლეპტოპებით აღჭურვილია კიდევ ორი საზიარო სივრცე: სამასწავლებლო და ბიბლიოთეკა, სადაც განთავსებულია 10-10 ლეპტოპი; თითოეულ კათედრას საკლასო სივრცეში გამოყენებისთვის გადაცემული აქვს 5-7 უახლესი ლეპტოპი. სკოლას აქვს 17 პროექტორი; ლეპტოპებითაა აღჭურვილი რესურსოთახი; 3 შავ-თეთრი ლაზერული პრინტერი განთავსებულია სამასწავლებლოში,1-რესურსოთახში, 1- ბუღალტრის კაბინეტში, 2- კანცელარიასა და 1-დირექტორის კაბინეტში; კანცელარიაში დამატებით განთავსებულია ლეპტოპები, პროექტორები, რომელთა გამოყენება საკლასო სივრცეში მოძრაობისთვის შეუძლია ნებისმიერ მასწავლებელს. მასწავლებლებისა და მოსწავლეების ჩართულობით იქმნება ელექტრონული რესურსები, გამოიყენება სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტები, მართვის საინფორმაციო სისტემები, teams-ის პორტალი, ელექტრონული ჟურნალი. აღნიშნული რესურსები აკმაყოფილებს სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს. სკოლა დაფარულია ინტერნეტ ქსელით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად:** ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლაში არსებული ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნილი ელექტრონული რესურსები მიმართულია სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად, გამოიყენება სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტები, მართვის საინფორმაციო სისტემები, teams-ის პორტალი, ელექტრონული ჟურნალი, სკოლას აქვს შექმნილი სოციალური გვერდი კომუნიკაციისა და სიახლეების გაზიარებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის წესი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 11- საქაღალდე 3.6.1
- კომპიუტერული ლაბორატორიის აღჭურვილობის ფოტო--მასალა,

- ციფრული განვითარების გეგმა
- დირექტორის ანგარიშები ფინანსური და სასწავლო პროცესის შესახებ;

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სსიპ - ქალაქ რუსთავის N7 სკოლა სარგებლობს კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმისწარმოების წესით. იყენებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას (e-flow). სკოლაში შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით იწარმოება საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალები. საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-ამორიცხვა, მობილობა და სხვა სახის გადაწყვეტილებები). სკოლაში ასევე წარმოებს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. მასწავლებელთა სტატუსის ცვლილებისას ან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემთხვევაში იდება ახალი ხელშეკრულება, ხოლო სხვა სახის ცვლილებისას კეთდება შეთანხმება, რომელიც ებმება ხელშეკრულებას. სკოლა აწორმოებს მოსწავლეთა პირად საქმეებს. მასში განთავსებულია მოსწავლეთა პირადი ინფორმაცია და აკადემიური მოსწრება კლასების მიხედვით. მობილობის შემთხვევაში პირადი საქმე ფოსტით ეგზავნება შესაბამის სკოლას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვასა და საქმისწარმოებაში აქტიურად გამოიყენება IT ტექნოლოგიები. კერძოდ, სკოლა აწარმოებს შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციას ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (e-flow) მეშვეობით, მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა მონაცემები შესულია eschool–ის სისტემაში. სკოლის მართვის პროცესში ინფორმირებისა და სხვადასხვა სახის კომუნიკაციისათვის გამოიყენება სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტები, მართვის საინფორმაციო სისტემები, teams- ის პორტალი, ელექტრონული. სკოლაში შიდა დოკუმენტაციის აღრიცხვის მიზნით იწარმოება საკადრო და საერთო სარეგისტრაციო ჟურნალები. საკადრო ჟურნალში ტარდება დასაქმებულთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ფორმდება დირექტორის ბრძანებით, ხოლო საერთო ბრძანებებში აღირიცხება მოსწავლეთა მოძრაობა (ჩარიცხვა-

ამორიცხვა, მობილობა და სხვა სახის გადაწყვეტილებები). სკოლაში, ასევე წარმოებს შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სსიპ - ქალაქ რუსთავის N7 საჯარო სკოლას აქვს გამართული საინფორმაციო სისტემა. შემოსული და გასული დოკუმენტაციის რეგისტრაციისა და ელექტრონული დოკუმენტბრუნვისათვის გამოიყენება e-flow–ს სისტემა, სკოლა იყენებს eschool–ის სისტემას, რომელშიც შეტანილია ინფორმაციები მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების შესახებ. ასევე ბაზაშია მონაცემები კლასების, პარალელების რაოდენობის, მასწავლებელთა სტატუსების, მოსწავლეთა სოციალური სტატუსების, სსსმ მოსწავლეების შესახებ. მოსწავლეთა შეფასებები და გაცდენები აღირიცხება ელექტრონულ ჟურნალში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლის მიერ, რეგულარულად ხდება სკოლის სხვადასხვა რგოლის წარმომადგენელთა ანგარიშების შექმნა, მათი მხრიდან გაწეულ საქმიანობაზე დაკვირვება, შეფასება და ანგარიშგება. კერძოდ, პირველი სემესტრისა და წლის ბოლოს პედაგოგიური საბჭო განიხილავს და აფასებს მიღწეულ შედეგებს, ქმნის სტატისტიკას. კათედრები განიხილავენ სემესტრულ მუშაობას, წერენ შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზებს, გამოყოფენ მიღწევებსა და სირთულეებს, სახავენ სამომავლო გეგმებს. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე დირექტორი სრულყოფილ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს, რომელშიც ფინანსურ საკითხებთან ერთად აქცენტები კეთდება შინაარსობრივ საკითხებზე. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, განიხილავს ამ მიმართულებით გაცემული რეკომენდაციების შესრულებას, მართავს შეხვედრებს, ამზადებს ანგარიშებს. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ყოველწლიურად შეისწავლის ინკლუზიური განათლების განხორციელების პროცესს სკოლაში და წერს შესაბამის დასკვნას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 12- საქაღალდე 3.6.2
- საქმის წარმოების წესი
- სკოლის სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- 10 დეკემბრის ანგარიში სასწავლო პროცესისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ
- წერილი საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებულობას სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების შესახებ, რისთვისაც იყენებს ვებგვერდს, თიმსის პლატფორმას, სოციალურ ქსელებს, ელექტრონულ ფოსტებს, ელექტრონულ ჟურნალს, განმავითარებელ კომენტარებს, საინფორმაციო დაფებს, პერიოდულად იმართება სამეურვეო საბჭოს სხდომები, რომელსაც ესწრებიან პედაგოგები, მშობლები, მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრი მოსწავლე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებულობას სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების შესახებ. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების შესახებ. სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გვერდის ადმინისტრირებაზე და გავრცელებული ინფორმაციის სანდოობაზე. მოსწავლეებს დროულად მიეწოდებათ ინფორმაცია ოლიმპიადების, კონკურსების, კონფერენციების, ფორუმების შესახებ. ამისათვის გამოიყენება სოციალური ქსელები, ელექტრონული ფოსტები, საინფორმაციო დაფები, პირდაპირი კომუნიკაცია. ეს ინფორმაციები ერთნაირად ხელმისაწვდომია სკოლის ყველა მოსწავლის, მათი მშობლებისა და მასწავლებლისათვის, რაც უზრუნველყოფს თანასწორუფლებიანობას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, მშობლებთან ურთიერთობის დებულება. სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელთა ინფორმირების წესი გამჭირვალეა და იძლევა მათგან უკუკავშირის მიღების საშუალებას.

სკოლა ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მშობელმა ითანამშრომლოს დირექციასთან, მასწავლებლებსა და სხვა დასაქმებულ პირებთან. როგორც დოკუმენტაციიდან და პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვევა, განსაზღვრულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი, რომლის მიხედვითაც კლასის ხელმძღვანელები სემესტრის განმავლობაში ან ბოლოს მშობლებს პირადად კონფიდენციალურად აცნობენ ინფორმაციას მათი შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ; სასწავლო წლის დასაწყისში იმართება კრება, სადაც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, ასევე აწვდიან ინფორმაციას დამატებითი და ინდივიდუალური გაკვეთილებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომელთა განხორციელებაც იგეგმება სასწავლო წლის განმავლობაში. მასწავლებლების ინფორმირებისათვის გამოიყენება ონლაინ და პირისპირ შეხვედრები, სოციალური ქსელები, TEAMS-ის პლატფორმა, forms-ის პლატფორმა, ელექტრონული ფოსტა, საინფორმაციო დაფები. სკოლის სოციალურ ქსელის გვერდზე რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაციები ცვლილებების, ჩატარებული ღონისძიებების, სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალები, რაც უზრუნველყოფს საჯაროობის პრინციპს და უკუკავშირის მიღებას. სკოლაში ჩატარდა არაერთი კვლევა: შეფასების მოდელის შერჩევაზე, სკოლის საჭიროების დადგენაზე (მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან), სკოლის გარემოს მოწყობაზე, არჩევითი საგნებისა და მეორე უცხოური ენის შერჩევაზე; საათობრივ ბადესა და შინაგანაწესში განსახორციელებელ ცვლილებებზე; მიღებული უკუკავშირის საფუძველზე შედგა 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, დამტკიცდა შინაგანაწესი; მოეწყო სკოლის სივრცეები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი skolebi.emis.ge, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

დაწესებულების ვებ-გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ხელმისწვდომია სკოლის სამოქმედო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი და სხვა საჯარო დოკუმენტაცია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 13- საქაღალდე 3.6.3
- სკოლის საკომუნიკაციო არხების ბმულები;
- კლასის დამრიგებლების მიერ ჩატარებული მშობელთა პირველი კრების ოქმები;
- დამრიგებლების პორტფოლიო სამივე საფეხურის;
- სკოლის მიერ ჩატარებული გამოკითხვების მასალები შეფასების კომპონენტების,არჩევითი საგნების პროფორიენტაციის შესახებ;
- მშობელთა კრების ოქმი მეორე უცხოური ენის არჩევასთან დაკავშირებით;
- სკოლის წლიური ანგარიში სასკოლო საზოგადოებასთან;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის წესი;
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება;
- ინტერვიუირება სკოლის პერსონალთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი. დაფინანსების წყაროები ასახულია სკოლის ბიუჯეტში და მიემართება სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განხორციელებას. სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლა მუშაობს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაშიTreasury. სკოლისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი და ფინანსები მიზნობრივად ნაწილდება სახელფასო, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა თუ საჭირო საგანმათლებლო რესურსების შეძენის მიმართულებით. სკოლას აქვს დამატებითი ეკონომიკური შემოსავლები: სადეპოზიტო თანხაზე დარიცხული პროცენტის, ბუფეტისა და სააქტო დარბაზის საიჯარო თანხის სახით. ფინანსურ ანგარიშს დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბრამდე აბარებს სამეურვეო საბჭოს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის ბიუჯეტის განკარგვას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, ფინანსური ანგარიშგება კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება და შესრულების ანგარიში წარედგინება ფინანსურ სამსახურს. შესყიდვების გეგმის შედგენამდე ხდება სასკოლო საზოგადოების საჭიროების კვლევა; ყველა სტრუქტურული ერთეულის მომართვის შესწავლის შემდეგ დგება სკოლის საპროგნოზო ბიუჯეტი. ნებისმიერი ინვენტარისა თუ სხვა სახის საგნების შეძენის საჭიროების შემთხვევაში სკოლის მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი მიმართავს დირექტორს მოხსენებითი ბარათით, რომელშიც აღწერილია საჭიროება და ბაზრის კვლევა. ყველა საჭირო პროცედურის დაცვით ფორმდება დოკუმენტაცია (ხელშეკრულება, ანგარიშფაქტურა, მიღება–ჩაბარების აქტი) და ხდება შესყიდვა. მონიტორინგის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს სკოლის დირექტორის ანგარიში ფინანსურ საკითხებზე, რომელსაც იგი წარუდგენს ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 14 -საქაღალდე 3.7.1.

- სკოლის ბიუჯეტი,
- ბუღალტრის სერტიფიკატები
- სტრუქტურული ერთეულებისა და პირების მიმართვები საჭიროებებთან დაკავშირებით;
- 10 დეკემბრის ანგარიში სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- ხელშეკრულება, ანგარიშფაქტურა, მიღება–ჩაბარების აქტი. ზედნადები;
- ბიუჯეტი;
- შესყიდვების გეგმა;მომსახურებისა და საქონლის შესყიდვის მასალები;
- შემოსავალ-გასავლის უწყისი;
- ინტერვიუ სკოლის ბუღალტერთან.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. მოსწავლის უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია სკოლის შინაგანაწესით, რომელიც ხელს უწყობს სკოლაში მოსწავლეთა განათლებისთვის ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ხელმისაწვდომობას და შექმნას; შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა უფლებები და პასუხისმგებლობები. კლასის დამრიგებლების მიერ მოსწავლეებთან ერთად შექმნილია მოსწავლეთა ქცევის წესები, რომელიც გამოკრულია საკლასო ოთახებში. მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანიზებით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები და აქტივობები, სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი და მრჩეველთა საბჭო, რომელთა შემადგენლობაში ჩართულები არიან მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები. სასწავლო წლის განმავლობაში მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები. სკოლა სასწავლო წლის განმავლობაში აწარმოებს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას: ა) ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ; ბ) დისკრიმინაციის წინააღმდეგ; გ) ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ; დ) ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. სკოლა სასწავლო წლის განმავლობაში აწარმოებს მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო- საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებებს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ა) მშობლის როლი ბავშვის განათლებასა და აღზრდაში; ბ) შვილთან ეფექტური კომუნიკაცია; გ) ძალადობა (მათ შორის ნაადრევი ქორწინება) და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; დ) ოჯახში ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; ე) ბულინგი, კიბერბულინგი და მათი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე; ვ) ჯანსაღი ცხოვრების წესი; ზ) სხვა საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფს კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობის ამაღლებას მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში. მოსწავლეთა და მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლების მიხნით ტარდება საინფორმაციო შეხვედრები მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის, მოსწავლეთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ. სკოლას აქვს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი ვიდეო მეთვალყურეობის მონიტორინგის სისტემა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლეთა უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა, კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დაწყებიდან 1 კვირის განმავლობაში მოსწავლეებს აცნობენ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციებს, ერობლივად შეიმუშავებენ საკლასო ქცევის წესებს, რომლებიც საკლასო ოთახში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე და მოსწავლეები იცავენ ამ წესებს. მშობლების ინფორმირება ხდება მშობელთა კრებებზე, გამონაკლის შემთხვევაში - ინდივიდუალურად, სკოლის საჯარო სივრცეებში გამოკრულია მოსწავლეთა უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები და განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე. 2023-2024 სასწავლო წელს დამტკიცდა სკოლის ახალი შინაგანაწესი, რასაც უსწრებდა

სხვადასხვა ღონისძიება: სასკოლო საზოგადოებისთვის შინაგანაწესის პროექტის გაცნობა; უკუკავშირის მიღება და ანალიზი; ნახატების კონკურსი ,,ჩემი თვალით დანახული სკოლის შინაგანაწესი"; დისკუსია, ვიქტორინა ,,ვინ უკეთ იცნობს სკოლის შინაგანაწესს". **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლის მშობელთან /მის კანონიერ წარმომადგენელთან მოსწავლის სკოლაში შემოსვლის დროს ფორმდება კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულება, გაფორმებამდე ელექტრონული ფორმით ეგზავნება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს გაცნობის მიზნით, რომელიც ფორმდება ორ ეგზემპლარად, ერთი უბრუნდება მშობელს, ერთი რჩება სკოლაში. ფოტოებისა და ვიდეო მასალების გამოქვეყნების უფლების მოსაპოვებლად მშობლებთან ივსება თანხმობის ფორმები. ექსკურსიებისა და ლაშქრობების დაგეგმვის დროს ივსება მშობლის თანხმობის ფორმა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 15 -საქაღალდე 4.1.1
- სკოლის შინაგანაწესი;
- პროექტი შინაგანაწესის გაზიარების შესახებ;
- მშობელთა კრების ოქმები;
- დამრიგებლის პორტფოლიო;
- თანხმობის ფორმები;
- ხელშკრულების ფორმა სკოლასა და მშობელს შორის.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლა მოსწავლეთათვის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების შესაბამისად. სსსმ მოსწავლეთა ჩარიცხვა სკოლაში ხდება სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრის დასკვნის საფუძველზე. საფეხურის დაძლევის გამჭირვალე მექანიზმი სკოლას გაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ მოსწავლეებისათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება სწავლის დაწყებისას პირველ კრებაზე. სკოლას შემუშავებული აქვს ცალკე დოკუმენტად მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები; **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად იცავს და ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, საჯარო სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ პირველ კლასში ჩასარიცხი მოსწავლეთა რიცხოვნობის ფარგლებში, ელექტრონული რეგისტრაციის და ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადები განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. რეგისტრაცია ხორციელდება სამ ეტაპად. მოსწავლის/მოსწავლეების პირველ კლასში ჩარიცხვის შესახებ შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა ასახოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში შესაბამისი სასწავლო წლის დაწყებამდე. სკოლაში, გარდა პირველი კლასისა, ხდება სხვა კლასებშის მოსწავლეთა მობილობა, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასებში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილის შესაბამისად, მოსწავლეთა ჩარიცხვაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი, რომელიც გამოსცემს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს მოსწავლის სკოლაში შესაბამის კლასში ჩარიცხვის თაობაზე. ორი დღის ვადაში ჩარიცხული მოსწავლის შესახებ მონაცემები და ამ მოსწავლის ჩარიცხვის თაობაზე შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტი აისახება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემაში. მოსწავლეთა აკადემიური შედეგების საფუძველზე ხდება მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანა. სკოლაში ამჟამად ფუნქიონირებს საგნობრივ კათედრებსა და მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ შექმნილი კლუბები: მათემატიკის კათედრაზე ფუნქციონირებს მათემატიკის

მოყვარულთა კლუბი „მოაზროვნეები“. ქართული ენის კათედრაზე ფუნქციონირებს „ლიტერატურის მოყვარულთა კლუბი";საბუნებისმეტყველო კათედრაზე შექმნილია და ფუნქციონირებს ახალგაზრდა მკვლევართა კლუბი; კლუბი „ჩხირკედელა“, ახალგაზრდა ექიმთა კლუბი. საზოგადოებრივ კათედრაზე ფუნქციონირებს ასტროფიზიკოსთა კლუბი „კოსმოსი"; "ერთად საზოგადოებისათვის"; უცხო ენების კათედრაზე შექმნილია და ფუნქციონირებს ინგლისურის მოყვარულთა კლუბი; კლუბი „ლინგვლოლაბი’’; კლუბი "ერთად საზოგადოებისათვის"ესთეტიკისა და სპორტის კათედრაზე ფუნქციონირებს კლუბი „ჩვენ გვიყვარს ქართული მუსიკა". მოსწავლეთა თვითმმართველობის კლუბი -დებატლუბი...სკოლაში განხორციელდა სასკოლო პროექტები სხვადასხვა საფეხურისა და კლასების მონაწილეობით: „ჯანსაღი ცხოვრების წესი“,„გახდი კულტურული მემკვიდრეობის დამცველი“; „დაგმე ვანდალიზმი“; პროექტი "მეორე მსოფლიო ომი"; პროექტი "სული აღმაშენებელი"; გრძელვადიანი პროექტი - "წავიდეთ თეატრში"... მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული როგორც კლუბების მუშაობაში, ისე სასწავლო პროექტებში. კლუბების სამოქმედო გეგმები საჯაროა. სკოლის მისიიდან და ხედვიდან გამომდინარე, სკოლა აქტიურად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში. ამისათვის კლასის დამრიგებლების ან საგნის მასწავლებლების მიერ ხორციელდება სასწავლო პროექტები:

- საერთაშორისო პროექტი "მეტი დრო ოჯახთან ერთად";
- „ჩვენი პატარა ხელებით";
- „სივრცული ფიგურები";
- „უკვდავი იაკობი";
- „ ჩვენი ენა ქართული";
- „საახალწლო ვორშოპი--ჯინჯერის ორცხობილების მორთვა";
- „ჩვენ ვიცავთ ენის სიწმინდეს, დაიცავი შენც!";
- „ახალი წელი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში";
- „ვიცხოვროთ ჯანსაღად";
- „მარჯვე ხელები";
- "საახალწლო ტრადიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში";
- მეთუნეობა-ქართული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი;
- „უსაფრთხოება ციფრულ სამყაროში“;
- " სისხლი წყალი არ არის";
- "კითხვის მარათონი";
- "სული აღმაშენებელი";

- "ქართული თიხა და თიხის ფიგურების გამოძერწვა"...

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სხვადასხვა მომსახურების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება პირისპირ შეხვედრების, სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული პროგრამები, დებულებები, აქტივობები, რესურსები, კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია და ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებს, არადისკრიმინაციულია, ყველასათვის საჯაროა და და ხელმისაწვდომი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა ინფორმაციას სისტემატურად აწვდის მშობლებს დამრიგებლებისა და საერთო შეხვედრების მეშვეობით. სხვადასხვა აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება პირისპირ შეხვედრების, სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული პროგრამები, დებულებები, აქტივობები, რესურსები, კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია და ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებს, არადისკრიმინაციულია, ყველასათვის საჯაროა და და ხელმისაწვდომი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების/ აღდგენისა და შეჩერების წესი;
- სკოლის ვებ გვერდის,
- თიმსის პლატფორმისა და სოციალური ქსელის ბმულები;
- კლუბებისა და პროექტების მასალები;
- მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას აქვს გაწერილი მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი, ყოველ ახალ სასწავლო წელს სათანადოდ იგეგმება ტრანზიციის პროცესი, რომლის განხორციელების შემდეგაც სკოლა აანალიზებს შედეგებს და მის გასაუმჯობესებლად მიმართავს თვითრეფლექსიას. სკოლას აქვს მზაობა პირველკლასელთა ტრანზიციისთვის. პირველკლასელებისათვის სასწავლო გარემოს ადაპტაციის მიზნით აწყობს ღია კარის დღეებს, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა სახალისო აქტივობა, დაწყებითი კლასის დამრიგებლები სწავლის დაწყებამდე აწყობენ ექსკურსიას სკოლის შენობაში.მიმდინარე სასწავლო წლის დაწყებამდე პირველკლასელებისთვის მომზადდა საერთო ღონისძიება,რომლის ფარგლებში არა მხოლოდ მოსწავლეებს მიეცათ სკოლის კედლებში სახალისო ექსკურსიაში ჩართულობის საშუალება ,არამედ მათი ოჯახის წევრებსაც,რამაც ერთი-ორად შეამცირა პირველ სასწავლო დღესთან დაკავშირებით გამოწვეული ღელვა. ტრანზაციის პროცესი ხორციელდება სხვა კლასებში ახალი მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში. სსსმ მოსწავლეს აცნობენ რესურსოთახს, ასწავლიან ადაპტირებული საპირფარეშოს მოხმარებას. ეს რეგულაციები გაწერილია სკოლაში შემუშავებულ „ მოსწავლეთა ადაპტაციის წესში“. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს როგორც სსსმ მოსწავლეების, ისე ტიპური განვითარების მოსწავლეებისათვის ადაპტირებულ სასწავლო გარემოს: შესაბამისი საკლასო გარემოთი, სასკოლო ნივთებით, შესაბამისი

აქტივობებით, სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორიებით, სპორტული და სააქტო დარბაზით, ბიბლიოთეკით - მდიდარი წიგნადი ფონდით, სსსმ მოსწავლეებისათვის მუშაობენ სპეციალური პედაგოგები, ასისტენტები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სსსმ მოსწავლის ადაპტირება სასკოლო გარემოში, ამისათვის სპეციალური მასწავლებელი კლასის დამრიგებელთან ერთად აცნობს სასწავლო გარემოს, რესურსოთახს, სადაც ტარდება დაგეგმილი აქტივობები; სკოლაში შექმნილია ინკულზიური გარემო, რესურსოთახი მოწყობილია უნივერსალური დიზაინის პრინციპით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით დაწესებულება საკონსულტაციო ფორმითა და რემედიაცით დახმარებას უწევს მოსწავლეებს. სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირი, რაც ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და შედეგების გაუმჯობესებაში. სკოლის ელექტრონული ჟურნალი ხელს უწყობს მოსწავლის, მშობლის დროულ ინფორმირებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

. სკოლა კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით თითოეულ მოსწავლეს, სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით აქვს გაწერილი აღნიშნული მექანიზმები. შესაბამისად,აქვს მზაობა, როცა მოსწავლეს სჭირდება შინ სწავლება, ექიმის ცნობისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენელის განცხადების საფუძველზე სკოლამ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები; ასევე მოსწავლეს შეუძლია ექსტერნის ფორმით გამოცდის ჩაბარება, ძირითადად ასაკობრივი ზღვარის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაცია მშობლის/კანონიერი წარმომადგენელის განცხადების საფუძველზე ადგენს საგამოცდო განრიგს და დამკვირვებელთა სიას, იქმნება საგამოცდო შედეგების შემსწორებელთა ჯგუფი, შედეგები ოფიციალურად ფორმდება კანონმდებლობით დადგენილ სათანადო ოქმებში და შედეგები ეცნობება მოსწავლეს. სკოლა ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი აქტივობების განხორციელებისთვის. სკოლა საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, ფოიეს, სპორტულ და სააქტო დარბაზებს. სკოლის ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისების უზრუნველყოფა: სკოლაში ხორციელდება როგორც სასკოლო, ისე საერთაშორისო დონის პროექტები, გაწერილია სამოქმედო გეგმები, აქტივობები, მიმდინარეობს კლუბური მუშაობა. სკოლაში შექმნილია: მათემატიკის კათედრაზე ფუნქციონირებს მათემატიკის მოყვარულთა კლუბი „მოაზროვნეები“;ქართული ენის კათედრაზე ფუნქციონირებს „ლიტერატურის

მოყვარულთა კლუბი";საბუნებისმეტყველო კათედრაზე შექმნილია და ფუნქციონირებს ახალგაზრდა მკვლევართა კლუბი; კლუბი ,,ჩხირკედელა", ახალგაზრდა ექიმთა კლუბი.საზოგადოებრივ კათედრაზე ფუნქციონირებს ასტროფიზიკოსთა კლუბი ,,კოსმოსი"; "ერთად საზოგადოებისათვის";უცხო ენების კათედრაზე შექმნილია და ფუნქციონირებს ინგლისურის მოყვარულთა კლუბი; კლუბი ,,ლინგვლოლაბი''; კლუბი "ერთად საზოგადოებისათვის"ესთეტიკისა და სპორტის კათედრაზეფუნქციონირებს კლუბი ,,ჩვენ გვიყვარს ქართული მუსიკა". მოსწავლეთა თვითმმართველობის კლუბი -დებატლუბი...სკოლაში განხორციელდა სასკოლო პროექტები სხვადასხვა საფეხურისა და კლასების მონაწილეობით: ,,ჯანსაღი ცხოვრების წესი",,,გახდი კულტურული მემკვიდრეობის დამცველი"; ,,დაგმე ვანდალიზმი"; პროექტი "მეორე მსოფლიო ომი"; პროექტი "სული აღმაშენებელი"; გრძელვადიანი პროექტი - "წავიდეთ თეატრში"... მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული როგორც კლუბების მუშაობაში, ისე სასწავლო პროექტებში. კლუბების სამოქმედო გეგმები საჯაროა. სკოლის მისიიდან და ხედვიდან გამომდინარე, სკოლა აქტიურად უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

გაწერილი აქვს სათანადო სამოქმედო გეგმები, პროგრამები, დატვირთულია სხვადასხვა აქტივობებით.აქტიურია სკოლის თვითმმართველობა:თვითმმართველობის წევრებს აქვთ შემუშავებული ეფექტური მექანიზმები(ინიციატივების ყუთი,კითხვარები),რომელთა საშუალებითაც ხდება მოსწავლეთა წინადადებების შეგროვება,განხილვა და საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა. ამგვარი პრინციპით მოხდა თვითმმართველობის კლუბების შექმნა: სკოლაში ფუნქციონირებს ,,დებატკლუბი", თვითმმართველობის მოსწავლეები გაწევრიანდნენ საგნობრივ კათდრებზე შექმნილ კლუბებში; გაწერილია სამუშაო პროგრამები, დებულებები, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა აქტივობაში. მოსწავლეთა თვითმმართველობას აქტიურ მხარდაჭერას უწევს სამოქალაქო განათლების მასწავლებელი. სკოლაში შექმნილია დემოკრატიულ ღირებულეებზე დაფუძნებული გარემო. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსწავლეთა უკუკავშირის საფუძველზე აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. სკოლის თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული ამ პროცესში, მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე კლასებიდან შემოსული წინადადებები, კითხვები მუშავდება, თვითმმართველობისა და ადმინისტრაციის ერთობლივად მუშაობის შედეგად მიიღება გადაწყვეტილებები და ეცნობება დაინტერესებულ პირებს ცვლილებების შესახებ. მაგალითად, მოსწავლეთა წინადადებების გათვალისწინებით მოეწყო სკოლის ფოიე, სკოლის ეზოში დაირგო კვიპაროსისა და

ტუიის ნერგები. მოსწავლეთა უკუკავშირი გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებისას, მაგ.არჩევითი საგნების,მეორე უცხოური ენის არჩევისას. მოსწავლეთა ინტერესები იქნა გათვალისწინებული მეთორმეტე კლასის საათობრივ ბადეში ცვლილებების განხორციელებისას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქაღალდე 4.2.1.
- კლუბების მასალები
- ბრძანება მოსწავლეთა ადაპტაციის წესის დამტკიცების შესახებ;
- სტუმრად კოლეჯ ,,მოდუსში“
- სტუმრად საგამოფენო სივრცეში;
- პირველი ნაბიჯები ფრანგული ენის შესწავლის გზაზე;
- სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- შეხვედრა მეშვიდესკოლელ ექიმებთან;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა მე-9-მე-12 კლასების თითოეულ მოსწავლეს სთავაზობს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობას ინტერესებისა და შესაძლებლობებიდან გამომდინარე. სკოლამ სასწავლო წლის დასაწყისში ჩაატარა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის დაგეგმვის შესახებ კვლევა. გამოიკითხა, რომელი პროფესიებია მოსწავლეთა ინტერესის სფერო, რომელ უმაღლეს სასწავლებელში აპირებენ სწავლის გაგრძელებას; რომელი პროფესიული სასწავლებლითა და პროფესიით ინტერესდებიან, ცნობიერების დონის ამაღლების მიზნით, რომელ აქტივობებში ჩართულობას მოისურვებდნენ. მოსწავლეთა უკუკავშირის საფუძველზე დაიგეგმა სწორედ სამოქმედო გეგმა. სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებლისა და მე-9-მე-12 კლასების დამრიგებლების მხარდაჭერით განხორციელდა ვიზიტი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო

უნივერსიტეტში, კოლეჯ ,,მოდუსში", დიუმას ცენტრში,გოეთეს ისტიტუტში,ქართულ-უკრაინულ კოლეჯში. სკოლის საუკეთესო გამოცდილებად შეიძლება ჩაითვალოს სკოლის კურსდამთავრებულებთან შეხვედრების მოწყობა: გაიმართა არაერთი შეხვედრა: წარჩინებულ კურსდამთავრებულებთან, ექიმ კურსდამთავრებულებთან , ტექნოლოგიების სპეციალისტებთან. არაერთი შეხვედრა მოეწყო კადეტთა კორპუსისა და თავდაცვის აკადემიის წარმომადგენლებთან, კოლეჯის წარმომადგენლებთან. პროფორიენტაციის მიმართულებით განხორციელებული აქტივობების ეფექტიანობაში განუზომლად დიდია დამრიგებელთა როლი: სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლების მიერ სამოქმედო გეგმებში გაწერილია საუბრები მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის შესახებ; კლასის საათების არაერთი შეხვედრა დაეთმო აღნიშნულ საკითხებს. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია როგორც ტიპური განვითარების, ისე მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან აქტიური კომუნიკაციის საფუძველზე სსსმ მოსწავლეებისათვის. სპეც მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ სსსმ მოსწავლისათვის ტრანზიციის გეგმა, რაც ითვალისწინებს მომავალი პროფესიის არჩევას. სკოლას მემორანდუმები აქვს გაფორმებული წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტთან; ევროპის უნუვერსიტეტთან; მიმდინარეობს მუშაობა სკოლასა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივრსიტეტთან მემორანდუმის გაფორმების შესახებ ფრანკოფონული მიმართულებით. მემორანდუმის დრაფტ ვერსია შეთანხმებულია თსუ-ს რომანული ფილოლოგიის კათდრასთან და განცხადება მემორანდუმის გაფორმების შესახებ დარეგისტრირებულია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ამ მიზნის განხორციელებაში სკოლას ეხმარება როგორც შიდა, ისე გარე ფაქტორები, სკოლა თითოეულ მოსწავლეს სთავაზობს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობას, რაც გამოიხატება იმაში, რომ სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლების სამოქმედო გეგმებში გაწერილია მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიზნით გაკვეთილები და საუბრები, დიდ ყურადღებას უთმობენ მოსწავლეთა მხრიდან ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოკვეთას. კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში მე-9, მე-10, მე-11, მე-12 კლასების დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში. მშობლებთან აქტიური კომუნიკაცია, როგორც საბაზო, ისე საშუალო საფეხურის მოსწავლეების აკადემიური მოსწრების გაცნობა, კლასის

დამრიგებლების სწორი რჩევა, ეხმარემა მშობელს/ კანონიერ წარმომადგენელს და მოსწავლეს მომავალი კარიერული დაგეგმისა და პროფესიის შერჩევაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. ინტენსიურად ხდება კურსდამთავრებულ მოსწავლეებთან, როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ისე პროფესიულ სასწავლებლებში კომუნიკაცია, გამოკითხვა არჩეული პროფესიის შესახებ. სკოლის საუკეთესო გამოცდილებად შეიძლება ჩაითვალოს სკოლის კურსდამთავრებულებთან შეხვედრების მოწყობა: გაიმართა არაერთი შეხვედრა: წარჩინებულ კურსდამთავრებულებთან, ექიმ კურსდამთავრებულებთან, ტექნოლოგიების სპეციალისტებთან. ხშირია საბაზო და საშუალო საფეხურზე მოსწავლეებთან შეხვედრები, საუბრობენ თავიაანთი არჩეული პროფესიის შესახებ, როგორ დაეხმარა სკოლა მათ მომავალი პროფესიის არჩევაში, ეს ყველაფერი კი ხელს უწყობს სკოლას გაითვალისწინოს მომავალში - რა მიმართულებით გამოკვეთოს საჭიროებები, როგორი აქტივობები დაგეგმოს, რათა დაეხმაროს მოსწავლეებს მომავალი კარიერული დაგეგმვასა და პროფესიის არჩევაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 18- საქაღალდე 4.2.2.
- საშუალო საფეხურის კლასის დამრიგებლის პორტფოლიო;
- პროფორიენტაციის მასალები,
- განცხადება თსუ-სთან მემორანდუმის გაფორმების შესახებ;
- კითხვარი მოსწავლეთა პროფორიენტაციის შესახებ.
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის სსსმ მოსწავლეებზე იქმნება ისგ ჯგუფები, რომლის შეთანხმებაც ხდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. თითოეულ გუნდს ჰყავს კოორდინატორი-კლასის ხელმძღვანელი, რომელიც უზრუნველყოფს ჯგუფის შეხვედრებს. განიხილება სსსმ მოსწავლეების მიღწევები და საჭიროებები, განისაზღვრება შეხვედრის თარიღები. ყოველ შეხვედრაზე ფორმდება ოქმი, რომელიც ინახება სსსმ მოსაწავლის პირად საქმეში (გუნდის შეხვედრები იმართება წელიწადში მინიმუმ ოთხჯერ.) სასწავლო წლის დასაწყისში სპეციალური მასწავლებლები შეიმუშავებენ წლიურ სამუშაო გეგმებს მასწავლებლებთან და დამრიგებლებთან თანამშრომლობით. მასწავლებლები თავის მხრივ ადგენენ ისგ გეგმებს მოსწავლეების საჭიროების გათვალისწინებით. სპეციალური მასწავლებლები ქმნიან ინტერვენციის, ქცევის მართვის და პროფორიენტაციის ხელშეწყობის მიზნით ტრანზიციის გეგმებს. ყველა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები იტვირთება სკოლის One Drive- ზე. ასევე სპეციალური მასწავლებლები მუშაობენ მოსწავლის შეფასების და სტატუსის შეჩერების წარმოებაზე. სასწავლო წლის მანძილზე სპეციალური მასწავლებლები და საგნის მასწავლებლები სსსმ მოსწავლესთან ახორციელებენ მონიტრორინგს გაწეული მუშაობის შესახებ. ასევე წლის ბოლოს სკოლაში იქმნება შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აფასებს ინკლუზიური განათლების სფეროს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსსმ მოსწავლეებთან სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლეების ძლიერი მხარე და საჭიროება. ისგ - ჯგუფის წევრებისათვის სპეციალურ მასწავლებლებს ჩანიშნული აქვთ საკონსულტაციო დღეები, რომელიც ხელმისაწვდომი და საჯაროა. სპეციალური მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან, აწვდიან რეკომენდაციებს. სპეციალური მასწავლებლები, საგნის მასწავლებლები და კლასის ხელმძღვანელი აქტიურად თანამშრომლობენ მესამე თაობის ისგ-ს ზოგადი ნაწილის შევსებისას. ყველა სსსმ მოსწავლისათვის შესრულდა ადაპტირებული კომპლექსური დავალება სპეციალური მასწავლებლების მხარდაჭერით. სპეციალური მასწავლებლები სსსმ მოსწავლეებთან მეცადინეობებს წარმართავენ შესაბამისი გეგმის და ცხრილის მიხედვით. მუშაობის პროცესში დაცულია ბალანსი აკადემიური და კოგნიტური უნარების შერჩევისას. გათვალისწინებულია თხრობის, კითხვის, წერის, კოგნიტური უნარების ხელშეწყობის, ასევე მულტიდისციპლინური გუნდის მიერ რეკომენდებული აქტივობები. სსსმ მოსწავლეების განვითარების მხარდასაჭერად სპეციალური მასწავლებლები ახორციელებენ პროექტებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 19, საქაღალდე 4.2.3.
- ისგ გეგმა(ყველა საგნისა და კლასის გაერთიანებული),
- სამეურვეო საბჭოს და პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმები ისგ გეგმების დამტკიცების შესახებ.
- სპეცმასწავლებლების თვითშეფასებები;ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- ინდ გეგმების შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- ეფექტიანი ტრანზაციის მონიტორინგისა და თვითშეფასების ფორმა;
- სკოლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- განხორციელებული პროექტების მასალები;
- სსსმ მოსწავლეთა ნამუშევრები.
- სსიპ - ქალაქრუსთავის N7 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით აქტიურად უზრუნველყოფს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების აქტივობების წახალისებას, სკოლაში ხორციელდება როგორც სასკოლო, ისე საერთაშორისო დონის პროექტები, მიმდინარეობს კლუბური მუშაობა. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს მოსწავლეებს კვების სერვისს, ტრანსპორტირების სერვისს, მოსწავლეებისათვის დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების

შეთავაზება თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. გაწერილი სათანადო სამოქმედო გეგმა, სამუშაო პროგრამები, დებულებები, კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია და ითვალისწინებს თითოეული მოსწავლის ინტერესებს და შესაძლებლობებს, ყველასათვის საჯაროა და და ხელმისაწვდომი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას. მოსწავლეებთან ერთად მათი მშობლები კლასის დამრიგებლებისაგან იღებენ ინფორმაციას, ეცნობიან დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების აქტივობებს, რის შემდეგაც მოსწავლეები თავიანთი ინტერესებიდან გამომდინარე და მშობელთა ნებაყოფლობით განცხადებების საფუძველზე ერთვებიან სხვადასხვა აქტივობაში, რომლებსაც მხარს უჭერს სკოლა და უწევს მონიტორინგს.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლის მიერ განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის პრიორიტეტი და მუდმივად ზრუნავს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებაზე. მოსწავლეებს შექმნილი აქვთ მშვიდი სასკოლო სასწავლო გარემო, სკოლის ადმინისტრაცია, კლასის დამრიგებლები, სკოლის მანდატურის სამსახურის წარმომადგენლები ზრუნავენ სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის, სკოლა პიროვნულ განვითარებაზეა ორიენტირებული, თითოეულ მოსწავლეს აქვს სიტყვის თავისუფლად გამოხატვის საშუალება, უმრავლესობა აქტიურად არის ჩართული სასკოლო თუ სკოლისგარეშე ღონისძიებებში, კლუბურ მუშაობაში. როგორც სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, ამ მიმართულებით განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა გრძელვადიანი სასკოლო პროექტი ,,ჯანსაღი ცხოვრება-შენი არჩევანია“. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი 20, საქაღალდე 4.2.4
- პროექტის მასალები;
- პროექტებისა და კლუბების მასალები;
- ექსკურსიის ფორმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება**

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სკოლას აქვს კურიკლუმის შემუშავების მეთოდოლოგია. თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი შემუშავდა ადმინისტრაციის მიერ, საფუძვლად დაედო ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები და სკოლის მისია, სწავლა/სწავლების პროცესის მოსწავლეზე ორიენტირება და ზრუნვა მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებაზე. შემუშავებულია სასკოლო კურიკულუმის განვითარებასთან დაკავშირებული პროცედურები . სკოლას, ასევე აქვს მზაობა უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების ინტერესების კვლევა, მათი შეხედულებების და პრიორიტეტების გათვალისწინების მიზნით, რათა უზრუნველყოს მათი ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სკოლის თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში სკოლას შემუშავებული აქვს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება სასკოლო სასწავლო გეგმაში, ასევე, სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტში. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში ასახული თემები და აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, ასაკობრივ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, სკოლაში განსაზღვრულია სასკოლო კლუბებისა და წრეების მუშაობა.აქტიურად იგეგმება და განხორციელდება სასკოლო პროექტები,რომლის თემატიკაც ძირითადად განისაზღრება ეროვნული სასწალო გეგმის პრიორიტეტული თემების და მოსწავლეთა ინტერესების მიხედვით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

წარმოდგენილი თვითშეფასების განაცხადიდანდა მასწავლებლებთან ინტერვიურებით ჩანს, რომ კურიკულუმი შემუშავების პროცესშია და პროცესი მიმდინარეობს ყველა იმ მასწავლებლის ჩართულობით, რომლებთანაც მისი შემუშავების ეტაპზე სკოლას აქვს შრომითი ურთიერთობა. მასწავლებლება და სკოლის ადმინისტრაციამ ინტერვიურების პროცესში გააჟღერეს, რომ ახალი სასწავლო წლიდან მათი ჩართულობით უზრუნველყოფილი იქნება კურიკულუმის განვითარება და ჩამოყალიბდება კიდევ იფრო გაუმჯობესებული სახით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის თვთშეფასების განაცხადის და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტის თანახმად, ასევე ინტერვიურებით ჩანს,რომ სკოლა კურიკულუმს მოიაზრებს, როგორც საჯარო დოკუმენტს. ინტერვიურების დროს პედაგოგიური კოლექტივი და დირექცია აღნიშნავდა, რომ მოხდება უკუკავშირის და რეკომენდაციების გაზიარება კათედრის წარმომადგენლების მიერ. კურიკულუმის საბოლოო სახით ფორმირების შემდეგ კი მოხდება მისი გაზიარება სკოლის ვებ გვერდზე. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავების პროცესში მონაწილეობს სრულიად სასკოლო საზოგადოება. მშობლებსა და მოსწავლეებს მასწავლებლები აცნობენ კომპლექსური დავალებების ბარათებს. დამრიგებლები მშობელთა კრებებზე მშობლებს უზიარებენ სასკოლო სასწავლო გეგმასა და საგნობრივ კურიკულუმებს. შექმნილია სკოლის ვებ–გვერდიც, რომელიც აცნობს სკოლის მუშაობის შინაარსს ფართო საზოგადოებას.

დაგეგმილია მშობლებისა და მოსწავლეების ჩართულობის გაზრდა არაფორმალური განათლების ხელისშემწყობი ღონისძიებების იდეების შემუშავებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (სავალდებულო დოკუმენტია)
- სასკოლო სასაწავლო გეგმა;
- მშობელთა კრების ოქმები დაწყებითი საფეხურის საგნობრივი პროგრამების კურიკულუმის ჩარჩოები, მატრიცები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნები **სამივე საფეხურის** კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, შედგენილია ეროვნული საწავლო გეგმის გათვალისწინებით. ეყრდნობა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმის შემუშავების დროს სკოლას გააზრებული აქვს გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები. დოკუმენტის მიხედვით სწავლების პროცესში მოსწავლეებისათვის ცოდნის გადაცემა და გააზრება უწყვეტი და თანმიმდევრული პროცესია, რომელშიც მოსწავლე აქტიური მონაწილეა.
უცხოური ენები	უცხოური ენების სამივე საფეხურის კურიკულუმები შემუშავებულია მიზნად ისახავს არა მხოლოდ ცოდნის გადაცემას, არამედ მოსწავლეთა კომპეტენციების (ცოდნის, უნარების, დამოკიდებულებების) განვითარებას. ეს მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სასწავლო პროცესი

	მოსწავლის საჭიროებებსა და ინტერესებზეა მორგებული. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლები, სწავლის სტილები და მათი განვითარების დონე. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიურების შედეგად ვლინდება, რომ მოსწავლეები არ არიან მხოლოდ ინფორმაციის მიმღებები. ისინი აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო პროცესში, რაც გულისხმობს პროექტულ მუშაობას, პრობლემის გადაჭრას, დისკუსიებსა და თანამშრომლობას. კურიკულუმი ორიენტირებულია იმაზე, რომ მოსწავლეებმა შეძლონ ინფორმაციის გაანალიზება, კავშირების დამყარება და რეალური ცხოვრებისეული გამოწვევებისთვის მომზადება. როდესაც მოსწავლე აქტიურ მონაწილეა და ხედავს სწავლის პრაქტიკულ მნიშვნელობას, იზრდება მისი მოტივაცია და ინტერესი სასწავლო პროცესის მიმართ.
ესთეტიკური აღზრდა	*სსიპ- ქალაქ რუსთავის N7 საჯარო სკოლაში სამივე საფეხურის კურიკულუმი დაგეგმილია ისე, რომ სწავლისა და სწავლების პროცესი ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას. ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ კურიკულუმის დაგეგმვისას ყურადღება გამახვილდა თითოეული მოსწავლის საჭიროებებსა და ინტერესებზე. მასწავლებლები მუდმივად იკვლევენ და ითვისებენ თანამედროვე მეთოდებს, რომლებიც ეხმარებათ, შექმნან ისეთი სასწავლო გარემო, სადაც ბავშვებს შესაძლებლობა აქვთ გამოავლინონ საკუთარი პოტენციალი, გახდნენ სასწავლო პროცესის აქტიური მონაწილეები და განივითარონ 21-ე საუკუნისთვის მნიშვნელოვანი კომპეტენციები. კურიკულუმი წარმოადგენს არა მხოლოდ თემატურ გეგმას — ის არის ცოცხალი დოკუმენტი, რომელიც ვითარდება მოსწავლეთა ჩართულობის, უკუკავშირის და შეფასების საფუძველზე. **სასურველია, სამივე საფეხურზე** საგანმანათლებლო შინაარსი მოერგოს თემის კონტექსტს, რათა მოსწავლეებს მიეცეთ საშუალება იმუშაონ რეალურ საკითხებზე — პროექტებით, გუნდურად და შემოქმედებითად. მოსწავლეები შეისწავლიან სახელმძღვანელოში მოცემულ თემებს და ახორციელებენ შესაბამის აქტივობებს. პედაგოგები ხედავენ სასწავლო რესურსების გამრავალფეროვნების აუცილებლობას და გეგმავენ შესაბამის ღონისძიებებს.*

	ამგვარად, ესთეტიკის კათედრის საგნობრივი კურიკულუმები ნამდვილად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრაქტიკულ და ცოცხალ ინსტრუმენტს. ***რჩევები:*** ***დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში სასურველია*** • *რეგულარულად ჩატარდეს მოსწავლეთა ინტერესების, სასწავლო სტილისა და საჭიროებების გამოკითხვა/ანალიზი. კვლევის შედეგების საფუძველზე გაუმჯობესდეს კურიკულუმის შინაარსი და სწავლების მეთოდები.* • *კათედრამ შეიმუშავოს არჩევითი/მრავალფეროვანი აქტივობების სია, რათა მოსწავლეებს მიეცეთ შესაძლებლობა სწავლის პროცესში ჩაერთონ საკუთარი ინტერესების და უნარების შესაბამისად.* • *სახელმძღვანელო განიხილებოდეს, როგორც ერთ-ერთი რესურსი და არა მთავარი სწავლების წყარო. სასწავლო პროცესში ინტეგრირდეს აუდიო-ვიზუალური მასალები, შემოქმედებითი ტიპის სამუშაოები და ადგილობრივ კონტექსტზე დაფუძნებული რესურსები, რაც უზრუნველყოფს სწავლების თემატურ მრავალფეროვნებას და აამაღლებს მოსწავლეთა ჩართულობას.* • *ესთეტიკურმა კათედრამ მოამზადოს სამოქმედო გეგმა გამოვლენილი საჭიროებების ან გამოწვევების საპასუხოდ.* ***ინდიკატორი შესაბამისობაშია***

სახელმწიფო ენა	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ეყრდნობა ესგ-ს, მასში გათვალისწინებულია სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები, სწორადაა განსაზღვრული სავალდებულო თემები, თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება. კურიკულუმის ჩარჩოში ჩანს, რომ კურიკულუმით განსაზღვრული თემები და საკითხები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. შუალედური მიზნები წარმოდგენილია შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებებით. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შექმნას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
მათემატიკა	სამივე საფეხურის კურუკულუმების შესწავლის საფუძველზე(დაწყებითი საბაზო და საშუალო) შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმები ,ნამდვილად ემსახურება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას დაშედგება აუცილებელი სტრუქტურული ერთეულებისაგან.
სპორტი	სამივე საფეხურის კურიულუმები(დაწყებითი ,საბაზო და საშუალო საფეხური) არის მოსწავლეზე ორიენტირებული, შედგენილი სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად და ასახავს იმ ძირითად თემებს, რომელიც სასწავლო წლის განმავლობაში უნდა შეისწავლონ მოსწავლეებმა. კურიკულუმები წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს აუცილებელ კომპონენტებს. **რჩევა:** სასურველია, სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით.

ტექნოლოგიები	კომპიუტერული ტექნოლოგიის საგნობრივი კურიკულუმები დაწყებით საფეხურზე შემუშავებულია სტანდარტების შესაბამისად, იგი ორიენტირებულია საგნის მიმართულებებზე, გრძელვადიან მიზნებსა და შუალედურ სასწავლო მიზნებზე. შუალედურ სასწავლო მიზნებად განიხილება შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელიც მოსწავლეთა საჭიროებებს და ინტერესებს ითვალისწინებს, რითაც კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი საფეხურის - ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა,ბუნებისმეტყველება და მე და საზოგადოება , კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რომელიც ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და სკოლის მისიას. გათვალისწინებულია დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, მათი საჭიროებები და ინტერესები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხრურზე (დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხური) საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზანებს. ჩანს სამიზნე ცნებებზე ორიენტირება. საფეხურის ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება.

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის (დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხური) კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. საკითხების შესწავლა ხორციელდება მესამე თაობის ესგ მიხედვით, რაც ითვალისწინებს ცნებებით სწავლებას. კურიკულუმის მონიტორიგის შედეგად დადგინდა რომ საზოგადოებრივი მეცნიერებების მიართულებით, სამივე საფეხურზე, ისტორიისა და ჩვენი საქართველოს კურიკულუმში ყველა თემის შესწავლის დროს ვერ ხერხდება საკითხისა და ცნებების ურთიერთმიმართების დადგენა. ამასთანავე ჩვენი საქართველოს კურიკულუმები მოითხოვს საკითხების თემატურ გადამუშავებას. ორივე საკითხთან მიმართებით სკოლას მიეცა სათანადო რჩევები.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმი სამივე საფეხურზე (დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხური) შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. კურიკულუმი ეფუძნება კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლებას და ითვალისწინებს როგორც აკადემიური, ასევე სოციალური და ემოციური განვითარებისთვის საჭირო კომპონენტებს. კურიკულუმი ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებზე, საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე და მიზნად ისახავს დამოუკიდებელი, მოაზროვნე და პასუხისმგებლიანი მოქალაქის ჩამოყალიბებას, რაც სრულად შეესაბამება ეროვნული გეგმის ძირითად პრინციპებსა და სტრატეგიულ ხედვას.
ესთეტიკური აღზრდა	კათედრაზე სამივე საფეხურის (დაწყებითი,საბაზო და საშუალო) კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებსა და მიზნებზე დაყრდნობით. ესთეტიკური კათედრის საგნობრივი გეგმა შეესაბამება ეროვნულ სტანდარტებს და ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებსა და კონტექსტებს. მასწავლებლები, საგნობრივი სტანდარტების ფარგლებში მოქნილად მუშაობენ, რათა რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული, პრაქტიკულ-შემოქმედებითი აქტივობებით გაამდიდრონ სასწავლო პროცესი. მაგალითად, ესთეტიკური განათლების მიმართულებით გაწერილი აქტივობები იძლევა როგორც ეროვნული მიზნების შესრულების, ისე ადგილობრივი კულტურის ინტეგრირების საშუალებას, რასაც უფრო მეტად გაამდიდრებენ და გამოიყენებენ სასწავლო პრაქტიკაში. კათედრის შიდა დოკუმენტაცია, თემატური გეგმით

	დაწყებული, შეფასების სისტემით დასრულებული, სტრუქტურულად მიესადაგება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ხელს უწყობს მოსწავლეთა კომპეტენციის განვითარებას. **რჩევა:** ● დაწყებით საფეხურზე მიეთითოს, კომპლექსური დავალებების გარდა, რა ტიპის შემაჯამებელი დავალებით იფარება შესასწავლი თემები. ● *საბაზო საფეხურზე -მიეთითოს, კომპლექსური დავალებების გარდა, რა ტიპის შემაჯამებელი დავალებით იფარება შესასწავლი თემები.* ● *საშუალო საფეხურის კურიკულუმები გაიწეროს დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმების იდენტურ ჩარჩო-დოკუმენტში. კომპლექსური დავალების პირობის ნაცვლად, მიეთითოს პროექტული სწავლების, კონკრეტული თემის ფარგლებში შესასრულებელი პროდუქტი.* **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	*სახელმწიფო ენაში წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმას. კურიკულუმების ჩარჩოში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები, დასამუშავებელი თემები და საკითხები, მითითებულია კონტექსტ მაგალითებიც. კურიკულუმებს ახლავს შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებებიც. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. ძირითადი სასწავლო რესურსი არის გრიფირებული, სასწავლო პროცესში იყენებენ დამატებით მატერიალურ და ელექტორონულ რესურსებსაც. კურიკულუმით განსაზღვრული და განხორციელებული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.* ***ინდიკატორი შესაბამისობაშია***

	რჩევა: *სასურველია კურიკულუმების შემუშავებისას გამოყენებული იყოს ერთი ჩარჩო. აგრეთვე, შემოქმედებითი პროდუქტის შესაქმნელი დავალებების იდეა უფრო კონკრეტულად გაიწეროს კურიკულუმში.*
მათემატიკა	*მათემატიკის კურიკლუმებში სამივე საფეხურზე - შემუშავებული საკითხები, სამიზნე ცნებები და შემოქმედებითი დავალებები ნამდვილად ეყრდნობა სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს,შესაძლებლობებს,წინარე ცოდნასა და საჭიროებებს. რაზეც პედაგოგებმა ცალკე ისაუბრეს ინტერვიუს პროცესში.*
სპორტი	*სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიანი მიზნებისაკენ. სავალდებულო თემების ფარგლემში ხდება სამიზნე ცნებების დამუშავება. კურიკულუმები იძლევა საშუალებას სამიზნე ცნებების გააზრებისათვის.*
ტექნოლოგიები	*კომპიუტერული ტექნოლოგიის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც დასტურდება წარმოდგენილ კურიკულუმებში, კათედრის სხდომის ოქმებსა და დავალების ბარათებში კომპლექსური ბუნების დავალებებით სახით.*
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*კურიკულუმები დაწყებით საფეხურზე საგნებში -ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და მე და საზოგადოება, , შემუშავებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მიემართება გრძელვადიან მიზნებს; სტანდარტით გათვალისწინებული თემების ფარგლებში მუშავდება შუალედური მიზნები.* ***რჩევა:*** *სასურველია, კათედრამ დაწყებიტ საფეურზე შემდეგ საგნებში :ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და მე და საზოგადოება კურიკულუმისთვის შეიმუშაოს ერთიანი ჩარჩო, რომელშიც მკაფიოდ იქნება წარმოჩენილი თითოეული სვეტის დანიშნულება;* *სწორად აისახოს ესგ-ს შესაბამისად გაწერილი სავალდებულო თემები, სტანდარტის შედეგები და დავალების იდეა.*

ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში სამივე საფეხურზე უხვადაა წარმოდგენილი სასწავლო რესურსები, თითოეული მათგანი საინტერესოა, საკითხზე ორიენტირებული და, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს რესურსები ნამდვილად უზრუნველყოფენ მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო შედეგის მიღწევას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	*სამივე საფეხურზე სკოლის ყველა საგანმანათლებლო რესურსი ხელს უწყობს სწავლა სწავლების პროცესს და მიმართულია მოსწავლეთა აკადემიური ცოდნის ამაღლებისაკენ*
უცხოური ენები	*სკოლის მიერ გამოყენებული რესურსები სამივე საფეხურზე (დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხური) შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს და ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლა იყენებს გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, დამატებით ლიტერატურას,ელექტრონულ რესურსებსა და ინტერნეტპლატფორმებზე განთავსებულ დამატებით მასალებს, რაც სწავლების პროცესს მრავალფეროვანსა და მოსწავლისთვის უფრო ხელმისაწვდომს ხდის. მასწავლებლები ადასტურებენ, რომ სკოლა აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით,რაც უცხოური ენების სწავლების პროცესს სრულყოფილს ხდის. რესურსების შერჩევა - გამოყენება შეესაბამება საგნობრივი პროგრამების მიზნებსა და ამოცანებს. პედაგოგები სასწავლო წლის დაწყებამდე, ერთობლივად განსაზღვრავენ ყველა იმ რესურსის ჩამონათვალს, რაც აუცილებელია სწავლა-სწავლების პროცესში.*

ესთეტიკური აღზრდა	*სკოლაში კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები სამივე საფეხურისთვის – როგორც საგანმანათლებლო, ისე მატერიალურ-ტექნიკური – შეძლებისდაგვარად მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებს და ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას.მასწავლებლები არსებულ რესურსებს იყენებენ შემოქმედებითად, აქტიურად მიმართავენ ადგილობრივ მასალებს. მაგალითად, ხელოვნების გაკვეთილებზე საგანმანათლებლო რესურსებად გამოიყენება ფოტო-აუდიო მასალა, ბუნებრივი მასალები, მეორადი ნივთები და ინტერნეტ-რესურსები. მუსიკის მასწავლებელი ხელნაკეთი ინსტრუმენტების, აუდიოჩანაწერებისა და ინტეგრირებული აქტივობების მეშვეობით ცდილობს სწავლის მიზნების მიღწევას. რესურსების შერჩევა და გამოყენება მიზანმიმართულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების შესრულებაზე, თუმცა მოსწავლის ინტერესებზე მორგებულად. სასწავლო რესურსების ეფექტიან გამოყენებას ხელს უწყობს მასწავლებელთა კოორდინაცია, რესურსების გაზიარება და სკოლაში არსებულ საკლასო ბიბლიოთეკასთან დაკავშირებული ინიციატივები.* **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	*სახელმწიფო ენაში სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები მრავალფეროვანია. სასწავლო პროცესში სკოლა იყენებს როგორც მატერიალურ, ისე ელექტორნულ რესურსებს დამატებითი ლიტერატურის, საინფორმაციო ტექსტების, ფოტო-ვიდეო და სხვ. მასალების სახით.* ***რჩევა:*** *სასურველია სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები რაც შეიძლება სრულყოფილად აისახოს კურიკულუმებში.* ***ინდიკატორი შესაბამისობაშია***
მათემატიკა	*მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში,სამივე საფეხურზე ძირითად რესურსად გამოყენებული სახელმძღვანელო და სხვადასხვა რესურსები ნამდვილად უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შდეგების მიღწევას. სახელმძღვანელოები რომლსაც იყენებენ სასწავლო პროცესში გრიფმინიჭებულია.*
სპორტი	*სამივე საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი რესურსები მრავალფეროვანია, რაც იძლევა საშუალებას სწავლის შედეგების მიღწევას. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები,*

	სახელმძღვანელოები, თვალსაჩინოებები გამოიყენება სასწავლო პროცესში. აგრეთვე, კურიკულუმებში არის წარმოდგენილი ონლაინ რესურსები და ვიდეო ბმულები. ***რჩევა**: სასურველია, დაწყებითი საფეხურის 1-4 კლასების კურიკულუმებში დაემატოს 2023 წლის გრიფირებული სახელმძღვანელოები.*
ტექნოლოგიები	*კომპიუტერული ტექნოლოგიის კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის მოსწავლის მიერ შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტები, PowerPoint-ში, Excel-ში, Scratch-ში და სხვა. უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.*
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	*დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში (ქართული ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და მე და საზოგადოება) ასახულია,როგორც ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ასევე- დამატებითი რესურსები, ინტერნეტ-პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. რესურსები უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.* ***რჩევა:** სასურველია, სამომავლოდ, უფრო მეტი მატერიალური და ელექტრონული რესურსით გამდიდრდეს კურიკულუმები. მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის შემდეგ საგნებში - ქართული ენა, მათემატიკა, ბუნებისმტყველება და მე და საზოგადოება.*

ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	*სამივე საფეხურის წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ წარმატებული პრაქტიკა ინკლუზიური განათლების პრინციპების რეალიზებასთან მიმართებით. მათ კარგად ესმით რამდენად მნიშვნელოვანია, სასწავლო პროცესი იყოს ინკლუზიური . მასწავლებლებმა გამოკვეთეს ყველა ის დიფერენცირებული მიდგომა, რომელსაც სასწავლო პროცესში*

	ითვალისწინებენ. დაგეგმილ აქტივობებში, ინდ.გეგმებში, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველ დოკუმენტებში მკაფიოდ ჩანს დიფერენცირებული მიდგომა და სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვა. შუალედურ სასწავლო მიზნად მოიაზრება კომპლექსური ბუნების მქონე დავალებები და საჭიროების შემთხვევაში მათი ადაპტირებული ვარიანტები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	*სამივე საფეხურზე სწავლების პროცესში სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებ ლობებს. ხელს უწყობს მათი უნარების წარმოჩენას და აძლევს საშუალებას ჩაერთოს სასკოლო აქტივობებში*
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი განხორციელებულია ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით .პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ მეთოდებს და სწავლების სტრატეგიებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ინდივიდუალური ტემპით და სტილით განვითარებას. გაკვეთილებზე ითვალისწინებენ სხვადასხვა სასწავლო რესურსებსა და აქტივობებს, რაც უზრუნველყოფს როგორც მხარდაჭერას საჭირო მოსწავლეებისათვის. სკოლა და სასწავლო პროცესი ღიაა ყველა მოსწავლისთვის, განურჩევლად მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა, შესაძლებლობებისა. ინკლუზიური მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ყველა მოსწავლეს აქვს თანაბარი შესაძლებლობა, მიიღოს მონაწილეობა სასწავლო პროცესში და მიაღწიოს წარმატებას. მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანი, თუ როგორ ისწავლოს მაგ.:ინდივიდუალური მუშაობა, წყვილებში, ჯგუფურად; ვიზუალური, აუდიტორული თუ კინესთეტიკური აქტივობები. მასწავლებელი იყენებენ სწავლების მრავალფეროვან მეთოდებსა და სტრატეგიებს. მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, წარმოადგინონ მიღებული ცოდნა და უნარები სხვადასხვა ფორმით

	მაგალითად: ზეპირი პრეზენტაცია, წერილობითი ნამუშევარი, პროექტი, ნახატი და ასე შემდეგ.კლასის მოწყობა და სასწავლო გარემო იძლევა მოქნილობის საშუალებას, რათა ხელი შეუწყოს სხვადასხვა ტიპის აქტივობების განხორციელებას და მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენას.
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე ესთეტიკის კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად დგინდება, რომ სასწავლო პროცესი, ინკლუზიურობის და დიფერენცირებული სწავლების პრინციპებითა აგებული. მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ აკადემიურ დონეს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს და გეგმავენ სწავლებას. ინდივიდუალურად უდგებიან მოსწავლეებს, რომლებსაც სჭირდებათ დამატებითი მხარდაჭერა. ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ ესთეტიკური კათედრის პედაგოგებს აქვთ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება, იციან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, საჭიროებებზე მორგებული აქტივობების გაწერა და შესაბამისი სასწავლო რესურსის მომზადება, რაც დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით. მოსწავლეთა დიფერენციაციისთვის, მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან დავალებებს, მოქნილ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებსა და ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის ფორმებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დადგემილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით. მასწავლებლები საჭიროებისამებრ მიმართავენ დიფერენცირებულ სწავლებას, აქტიურად თანამშრომლბენ სპეც. მასწავლებლებთან და ერთად ქმნიან ინდ. სასწავლო გეგმებს სსსმ მოსწავლეებისათვის. სასწავლო პროცესში გამოყენებულია მრავალფეროვანი მეთოდები და სტრატეგიები, ეტაპობრივად ატარებენ დიაგნოსტიკურ წერებს, აანალიზებენ და სასწავლო პროცესს მიმართავენ მოსწავლეთა საჭიროებებზე.

	ინდიკატორი შესაბამისობაშია.
მათემატიკა	სკოლა სამივე საფეხურის მოსწავეებისთვის უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღების თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველა მოსწავლისათვის. სკოლაში უზრუნველყოფილია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის განათლების მიწოდება შესაბამისი ადამიანური რესურსითა და პროგრამებით/სერვისებით. სკოლა იღებს ყველა გონივრულ ზომას მოსწავლის ცოდნის სამართლიანი შეფასების უზრუნველსაყოფად.
სპორტი	სასწავლო პროცესი სამივე საფეხურზე ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს. პედაგოგები არეგულირებენ ფიზიკურ დატვირთვას მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. მასწავლებლები სთავაზოვენ ბავშვებს სხვადასხვა სირთულის დავალებებს, ვარჯიშების განსხვავებული რაოდენობით ან ტემპით შესრულებას. სკოლამ გადმოაგზავნა დოკუმენტი, სადაც გაწერილია კონკრეტული აქტივობების შესწავლა დიფერენცირებული მიდგომის გათალისწინებით. ასევე, სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი დოკუმენტები; ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, კურიკულუმები და კათედრის სხდომის ოქმები, ადასტურებს რომ, სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების ხელშეწყობას. ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომა განუყოფელი ნაწილია სასწავლო პროცესის. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ტექნოლოგიის მასწავლებელები იცნობს დიფერენცირებული სწავლების მეთოდებს, აცნობიერებს ინკლუზიური განათლების მნიშვნელობას და სასწავლო პროცესს გეგმავს შესაბამისად.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე- ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და მე და საზოგადოება , პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლების მიდგომებს, ითვალისწინებენ

	მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, წარმოდგენილი აქვთ ადაპტირებული დავალებების ნიმუშები. **რჩევა:** სასურველია, ადაპტირებული დავალებები აისახოს ზემოთ აღნიშნულ საგმობრივ კურიკულუმებში.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ისინი იყენებენ მრავალფეროვან შეფასებას, მაგალითად არის, როგორც განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, ისე განმასზღვრელი შეფასების რუბრიკები. მოცემულია ცნებებზე დაფუძნებული განმავითარებელი და გამსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. მოსწავლის შეფასების ინსტრუმენტებში და სასწავლო პროცესში დაგეგმილ, გამოყენებულ მასალებში/აქტივობებში იკვეთება, რომ დაგეგმილი სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტუალურ ყველა გარემოებას.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შეფასების სისტემა სამივე საფეხურზე მრავალფეროვანია და მიმართულია მოსწავლის აკადემიური ცოდნის ამაღლებისაკენ. შეფასების ორივე ფორმა - განმსაზღვრელი/განმავითარებელი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებსა და ამოცანებზე და წარმოადგენს სწავლების განუყოფელ ნაწილს.
უცხოური ენები	მოსწავლის შეფასების სისტემა სამივე საფეხურზე შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. შეფასება ორიენტირებულია, როგორც მოსწავლის მიღწევების განსაზღვრაზე, ასევე მისი განვითარების ხელშეწყობაზე. მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვანი შეფასების ინსტრუმენტებს. , ინდივიდუალურად აფასებენ მოსწავლეთა მიღწევებს და რეგულარულად აწვდიან მათ უკუკავშირს.შეფასების პროცესი გამჭვირვალეა და ეფუძნება ობიექტურ

	კრიტერიუმებს. გარდა ამისა, ხდება მოსწავლეთა ჩართულობა თვითშეფასებაში, რაც ემსახურება მათი პასუხისმგებლობისა და თვითრეფლექსიის უნარების განვითარებას.
ესთეტიკური აღზრდა	სამივე საფეხურზე ესთეტიკური საგნების სწავლებისას, მოსწავლის შეფასების სისტემა ასახავს ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს — ის ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე, ჩართულობაზე და განვითარების მხარდაჭერაზე. ხელოვნების და მუსიკის მასწავლებლები, გარდა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებებისა, იყენებენ სხვა ეფექტურ შეფასების ფორმებსაც: კომენტარებს, თვითშეფასებას, თანატოლთა ურთიერთშეფასებას. შემუშავებული აქვთ სხვადასხვა დავალების შესაბამისი რუბრიკა. ეს მიდგომა მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, გააცნობიერონ საკუთარი პროგრესი, გაიგონ, რა მიმართულებით სჭირდებათ განვითარება და მიიღონ კონსტრუქციული უკუკავშირი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შეფასების პროცესის გამჭვირვალობას — მოსწავლეები წინასწარ იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს, აქტიურად მონაწილეობენ მიზნების დასახვასა და შედეგების ანალიზში. ასევე, გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები: შეფასება მორგებულია თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებზე და ემსახურება განვითარების პროცესის სწორი მიმართულებით წარმართვას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სკოლასამივე საფეხურზე იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს. შეფასებები შესაბამისობაშია სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებთან, მიზნებთან და ამოცანებთან. კათედრაზე შემუშავებულია შეფასების რუბრიკებები, რომლითაც ხელმძღვანელობენ პედაგოგები და ცვლიან საჭიროებისამებრ. შეფასების რუბრიკები ცნობილია მოსწალეთათვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

მათემატიკა	გადმოგზავნილ მასალებში არის როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითრებელი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურისთვის. მასალებიდან ჩანს, რომ გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები.
სპორტი	კათედრამ სამივე საფეხურისთვის წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების რუბრიკების მაგალითები, რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს. **რჩევა**: სასურველია, მასწავლებლებმა შექმნან კონკრეტულ კომპლექსურ/პრაქტიკულ დავალებებსა და საკლასო აქტივობებზე მეტად მორგებული განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე.
ტექნოლოგიები	სამიზნე ცნებებზე დაფუძნებული განმსაზღვრელი თუ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების, დავალების ბარათებისა და სხვათა შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ მოსწავლეთა შეფასება შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სწავლების პროცესში,დაწყებითი საფეხურის შემდეგ საგნებში : ქართულენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ბუნებისმეტყველებასა და მე და საზოგადოებაში მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, როგორიცაა დავალების, პრეზენტაციის, დისკუსიის და ა.შ. სხვადასხვა აქტივობის შეფასება. **რჩევა:** სასურველია, აღნიშნულ საგანებში შემუშავდეს კურიკულუმში გაწერილ კონკრეტულ დავალებებზე მორგებული რუბრიკები, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვის

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სპორტი:

- სამივე საფეხურის საგნოვრივი კურიკულუმების ჩარჩოები, ოქმები,
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები,
- კომპლექსური დავალებების მაგალითები, დიფერენცირებული სწავლების ამსახველი დოკუმენტები,
- მოსწავლის მიღწების დიაგნოსტირების ინსტრუმენტი, ურთიერთშეფსება.

საბუნებისმეტყველო

- საბუნებისმეტყველო საგნების სამივე საფეხურის კურიკულუმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- საბუნებისმეტყველო საგნების ინდგეგმები
- მოსწავლეთა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

კომპიუტერული ტექნოლოგიები;

- დაწყებითი საფეხურის საგნოვრივი კურიკულუმები,
- განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები,
- კომპლექსური დავალებების მაგალითები,
- დიფერენცირებული სწავლების ამსახველი დოკუმენტები,
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზები,
- მოსწავლის ნამუშევრები, ურთიერთშეფსება.

სახელმწიფო ენა:

- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალების მატრიცები,
- მოსწავლეთა ნამუშევრები და შეფასებები;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზები;

- საგნობრივი კათედრის ოქმები;

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე საბუნებისმეტყვლო კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესი ორგანიზებულია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად და შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და კურიკულუმში აღწერილ მიზნებსა და ამოცანებს. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ პედაგოგები სწავლების პროცესში ითვალისწინებენ სასკოლო კურიკულუმში განსაზღვრულ მიზნებს და ასწავლიან შესაბამისად დაგეგმილი თემატური ერთეულების თანმიმდევრობით. სასწავლო

	პროცესში ინტეგრირებულია სხვადასხვა რესურსი და მეთოდი, რომლებიც შეესაბამება სასკოლო კურიკულუმის მიმართულებებს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურის კურიკულუმების შესწავლის საფუძველზე ასევე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად შეგვიძია ვთქვათ, რომ სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი სრულად შეესაბამება სკოლის მიერ დაგეგმილ და შემუშავებულ კურიკულუმს.
უცხოური ენები	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი მთლიანად ეფუძნება სასკოლო კურიკულუმს და მისი დაგეგმვა ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას. მასწავლებლები სასწავლო წლის დასრულების შემდეგ იწყებენ ძველი კურიკულუმების განხილვას, ახდენენ მის რევიზიას და ამის საფუძველზე ერთობლივად ქმნიან ახალ კურიკულუმებს, რომლებიც შესაბამისობაშია საგნობრივი სტანდარტების, კომპეტენციების განვითარებისა და მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია სწავლა-სწავლების თანმიმდევრულობა, მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება და მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა. გაკვეთილები ორიენტირებულია კომპეტენციებზე, ემსახურება კოგნიტიური, სოციალური და ემოციური უნარების განვითარებას და ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ მუშაობაში.დაგეგმვაში ასახულია სწავლის მიზნები, შერჩეული აქტივობები და სწავლების რესურსები, რაც ქმნის ხარისხიანი და მიზანმიმართული სწავლების წინაპირობას. სასწავლო პროცესის პერიოდულად გადახედვა, ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება, ასევე წარმოადგენს კურიკულუმის განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს.

	გარდა ამისა, სკოლაში შეინიშნება გუნდური დაგეგმვის ტენდენცია, რაც ხელს უწყობს საგნობრივ ინტეგრაციას, საერთო მიზნებზე ორიენტაციას და პედაგოგიური პრაქტიკის გაუმჯობესებას.
ესთეტიკური აღზრდა	სსიპ - რუსთავის N7 საჯარო სკოლა სამივე საფეხურზე აქტიურად ასრულებს საზოგადოებრივ-კულტურულ ცენტრის ფუნქციას, რაც ნათლად აისახება მის საგანმანათლებლო და გაკვეთილს მიღმა აქტივობებში. სკოლაში მოქმედი ესთეტიკის კათედრა აერთიანებს კვალიფიციურ და საქმისადმი ერთგულ მუსიკისა და ხელოვნების პედაგოგებს, რომლებიც საკუთარი შრომითა და შემოქმედებითი მიდგომებით მნიშვნელოვნად ამდიდრებენ სასკოლო ცხოვრებას. მათი ძალისხმევით სკოლაში სისტემატურად იმართება შემოქმედებითი და საგანმანათლებლო ღონისძიებები — ეროვნულ დღესასწაულებთან, ისტორიულ თარიღებთან, კულტურულ მემკვიდრეობასთან, გარემოს დაცვასა და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული თემატიკით. აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით თვითგამოხატვას და თემის ღირებულებებთან დაკავშირებას. მიუხედავად იმისა, რომ დაწყებით საფეხურზე ხელოვნების საგანს ასწავლიან მასწავლებლები, რომლებსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული არ აქვთ, სკოლა აცნობიერებს ამ გამოწვევას და აქტიურად მუშაობს მის დასაძლევად — ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ უკვე დაგეგმილია ხელოვნების მასწავლებლის ვაკანსიის გამოცხადება მომდევნო სასწავლო წლისთვის. აღსანიშნავია, რომ მატერიალური რესურსების სიმწირის მიუხედავად, სკოლამ შეძლო შეექმნა ისეთი სასწავლო და კულტურულად ჩართული გარემო, სადაც სასკოლო კურიკულუმი მჭიდროდ უკავშირდება თემის რეალურ საჭიროებებსა და ღირებულებებს. ეს

	კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ სკოლის მიზანი მხოლოდ აკადემიური ცოდნის გადაცემა არ არის — იგი აქტიურად ცდილობს მოსწავლეებში პასუხისმგებლობის, კულტურული თვითცნობიერებისა და საზოგადოების მიმართ თანაგრძნობის განვითარებას. სკოლას არ აქვს პროფესიონალური სახელოსნო ან მდიდარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ამიტომ, მასწავლებლებმა უნდა მოახერხონ კრეატიული გზების პოვნა: გამოიყენონ ხელმისაწვდომი მასალები, აქტივობებში ჩართონ მშობლები და დარგის ცნობილი სპეციალისტები, რათა თავიანთი ცოდნა/გამოცდილება მოსწავლეებსაც გაუზიარონ. **რჩევები:** ● **სასურველია,** სკოლამსამივე საფეხურზე ჩართოს თემის სხვადასხვა წარმომადგენელი — მშობლები, ადგილობრივი ხელოვანები, კულტურული მემკვიდრეობის მატარებლები — სასკოლო კურიკულუმის შინაარსის განსაზღვრაში. ეს ხელს შეუწყობს თემის ღირებულებების, ინტერესებისა და საჭიროებების ინტეგრირებას საგანმანათლებლო პროცესში. ● **სასურველია,** ესთეტიკური კათედრის კურიკულუმი, როგორც დაწყებითი და საბაზო საფეხურისთვის ასევე საშუალო საფეხურზე ასახავდეს ადგილობრივ კულტურულ მემკვიდრეობას — მუსიკალურ, სახვით თუ გამოყენებით ხელოვნებას. ● **სასურველია,** მასწავლებლებმა მოიპოვონ მასალის მოძიების ალტერნატიული გზები. (მაგ., ბუნებრივი საღებავები, გადამუშავებული მასალები, თემში არსებული რესურსები). ● **სასურველია,** სკოლამ დაგეგმოს საერთო ღონისძიებები, სადაც მოსწავლეები თემის მონაწილეობით წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს — მაგალითად, ფოლკლორული

	კონცერტები, გამოფენები ან თემატური საღამოები. ეს აძლიერებს სკოლასა და თემს შორის კავშირს. • სკოლამ გამოაცხადოს ვაკანსია და დაწყებით საფეხურზე აიყვანოს კვალიფიციური კადრი/კადრები. რა თქმა უნდა, ესთეტიკის კათედრა მუშაობს კურიკულუმის გამრავალფეროვნებაზე. კურიკულუმში გაწერილი თემები და საკითხები სახელმძღვანელოზე დაყრდნობით შეიმუშავეს. შემოქმედებითი პროდუქტი კომპლექსური დავალების სახითაა წარმოდგენილი. წლის განმავლობაში შეასრულებენ ორ ან სამ კომპლექსურ დავალებას, გაწერილი აქტივობებით. გაცემული რჩევები მათ დაეხმარება პრიორიტეტების განსაზღვრაში და შეძლებენ გაითვალისწინონ, რამდენად რეალურად აისახება მასში სასკოლო საზოგადოების (თემის) ხედვა, შესაძლებლობები და პრიორიტეტები.
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად; სასწავლო წლის მიმდინარეობისას პედაგოგების მხრიდან გათვალისწინებულია მოსწავლეთა საჭიროებები. კათედრის ოქმებსა და ანგარიშებში ჩანს, რომ სკოლა ცდილობს მოსწავლეთა მხარდაჭირას. სკოლაში შემუშავებულია სასწავლო პროცესის მონიტორინგის სისტემა, ტარდება დიაგნოსტიკური წერები, ხდება შემაჯამებელი და შემოქმედებითი პროდუქტის მქონე დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა. სასწავლო პროცესში გამოვლენილი სუსტი მხარეების და საჭიროებების გასაუმჯობესებლად კათედრის წევრები მუშაობენ ერთად, უზიარებენ ერთმანეთს რჩევებსა და გამოცდილებებს. აქტიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან.
მათემატიკა	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი ეფუძვნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებსა და მიზნებს. კოლეგებთან ინტერვიუშიც და სკოლის მიერ

	წარმოდგენილ მასალებიდანაც ჩანს, რომ მუშაობენ სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებსა მიდგომებზე.
სპორტი	როგორც დაწყებით ასევე საბაზო და საშუალო საფეხურზე გაკვეთილები ეფუძნება სასკოლო კურიკულუმში აღწერილ შუალედურ მიზნებს, აქტივობებსა და რესურსებს. კურიკულუმებში გაწერილი პრაქტიკული და თეორიული შინაარსის თემები იძლება იმის საშუალებას, რომ მოსწავლეები აქტიურად იყვნენ ჩართულები სასწავლო პროცესში.
ტექნოლოგიები	სკოლაში ტექნოლოგიის საგნის სწავლის პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი სასწავლო პროცესის შეფასების დოკუმენტაცია. შეფასების რუბრიკებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავადგინოთ, რომ სასწავლო პროცესი ტექნოლოგიებში დაგეგმილია და მიმდინარეობს შესაბამისი კლასის სასკოლო კურიკულუმის მიხედვით. კურიკულუმებში განთავსებული კომპლექსური დავალებები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ბუნებისმეტყველებასა და მე და საზოგადოებაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ძირითადად ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად (საჭიროების შემთხვევაში ხდება მოდიფიცირება). გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით, სავალდებულო თემების ფარგლებში, შუალედური მიზნების დახმარებით მუშავდება კურიკულუმში გაწერილი საკითხები. **რჩევა:** სასურველია,ოთხივე საგნის კურიკულუმში გაიწეროს მხოლოდ ის დავალებები, რომელთაც რეალურად განახორციელებენ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

წინარე ცოდნის დიაგნოსტირება ხდება გამოკითხვის/დოკუმენტების ანალიზის საშულებით, ანალიზზე დაყრდნობით ხდება ნაბიჯ-ნაბიჯ და კონსტრუქტივისტული მიდგომით წინარე ცოდნაზე ახალი ცოდნის დაშენება. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კომპლექსურ დავალებას, რომლის საშუალებით ხდება მოსწავლეებში ახალი ცოდნის კონსტრუირება. სწორედ ამიტომაც

სასწავლო პროცესი ეფუძნება ახალი ცოდნის კონსტრუირებას და ეყრდნობა წინარე ცოდნას. სკოლაში სწავლების პროცესი აქტიურია. მოსწავლე მასწავლებლის დახმარებით თვითონ აგებს ცოდნას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, გამოცდილებისა და ნაცნობი კონტექსტის გახსენებით. მოსწავლეს მასწავლებელი ეხმარება ცოდნის აგებაში, უქმნის სწავლის მოტივაციას, ეხმარებიან სწავლის მიზანის გაცნობიერებაში, ამუშავებენ საყოფაცხოვრებო ტიპის ამოცანებს, სკოლა უქმნის სწავლისთვის ხელსაყრელ გარემოს, რათა მოხდეს საგაკვეთილო პროცესის დროს წინარე ცოდნის გააქტიურება. ცოდნის კონსტრუირებისთვის მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს მათთვის შინაარსიან, აზრიან, ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებულ კომპლექსურ დავალებებს. დაწყებით საფეხურზე სკოლა უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების პროცესის ადაპტაციას იმ საჭიროებების შესაბამისად, რომლებიც წარმოიშობა მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებების, სოციალურ-კულტურული კონტექსტისა და სასწავლო გარემოს ცვლილებების ფონზე. მუდმივად ახდენს სასწავლო პროცესის მონიტორინგს; თანამშრომლობს მშობლებთან, უზრუნველყოფს დიფერენცირებულ და ინდივიდუალურ მიდგომებს. ეს მიდგომა აძლიერებს დაწყებითი საფეხურის ეფექტიანობას, ზრდის მოსწავლეთა კეთილდღეობას და სწავლასთან მიმართებაში პოზიტიურ დამოკიდებულებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, იკვეთება, რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლას აქვს შემუშავებული შეფასების გამჭვირვალე და მოქნილი სისტემა. შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებში ასახულია ის საკვანძო საკითხები, რაც განაპირობებს შეფასების სისტემურ ხედვას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებისთვის ნათელია რა კონცეფციაზე დაყრდნობითაა შეიმუშავებული შეფასება, რა პრინციპითაა შერჩეული შეფასების ინსტრუმენტი და რამდენად შეესაბამება შერჩეული ინსტრუმენტი მიზნებს, მოსწავლის საჭიროებებს და სწავლა-სწავლების რესურსებსა და დროს.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა წარმოადგენს რეფლექსიას მოსწავლეთა სწავლის პროცესზე. ამასთანავე შეფასება ემყარება გრძელვადიან სასწავლო მიზნებსა და ამოცანებს და ორიენტირებულია მოსწავლეთა განვითარებაზე.

უცხოური ენები	სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა ემყარება ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან პრინციპებს. მასწავლებლები იყენებენ შეფასების მრავალფეროვან ფორმებს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლის მიღწევებისა და პროგრესის სრულფასოვან ანალიზს. შეფასება მიზნად ისახავს არა მხოლოდ აკადემიური შედეგების გაზომვას, არამედ მოსწავლის პიროვნული და სოციალური განვითარების ხელშეწყობასაც. შეფასების კრიტერიუმები მოსწავლეებისთვის წინასწარ არის ცნობილი და ხელმისაწვდომია, რაც ქმნის გამჭვირვალე გარემოს. პედაგოგები სისტემატურად აწვდიან მოსწავლეებს და მათ მშობლებს უკუკავშირს, რაც უზრუნველყოფს პროცესის სანდოობასა და ობიექტურობას. გარდა ამისა, სკოლა უზრუნველყოფს შეფასების პროცესის მონიტორინგსა და ანალიზს, რაც ხელს უწყობს პრაქტიკის მუდმივ გაუმჯობესებას. მნიშვნელოვანია, რომ შეფასება არ ეფუძნება სუბიექტურ დამოკიდებულებებს და ეფუძნება დამოწმებულ კრიტერიუმებს, რაც იძლევა სამართლიანი შეფასების გარანტიას ყველა მოსწავლისთვის.ამის დასტურია მასწავლებლების მიერ შემქნილი შეფასების ფორმები, მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომი შეფასების რუბრიკები,დიფერენცირებული შეფასების დავალებები, მასწავლებელთამიერ წარმოდგენილი რეფლექსიები.
ესთეტიკური აღზრდა	კათედრაზე, მუსიკისა და ხელოვნების მიმართულებითსამივე საფეხურზე წარმოდგენილი შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ძირითად პრინციპებს და მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. სასწავლო პროცესში საგნობრივი შეფასება არ წარმოადგენს მხოლოდ მოსწავლის აკადემიური ცოდნის რაოდენობრივ აღრიცხვას – იგი გადამწყვეტ როლს თამაშობს პიროვნული და შემოქმედებითი განვითარების წახალისებაში. შეფასება მჭიდროდ უკავშირდება სასწავლო პროცესის შინაარსს. მასწავლებლები იყენებენ იმ დავალებებს, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს გამოხატოს საკუთარი შემოქმედებითი იდეა და რეალურად წარმოაჩინოს კომპეტენცია: იქნება ეს მუსიკალური კომპოზიციის შესრულება, ინსცენირება, ჩანახატის შექმნა თუ პრეზენტაცია ხელოვნების საკითხების შესახებ. თითოეული დავალება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებით ფასდება, რაც უზრუნველყოფს შედეგების ობიექტურობასა და სტაბილურობას. მოსწავლეებს ყოველთვის აქვთ ინფორმაცია, როგორ და რა საკითხსა თუ თემაზე აფასებენ მათ. ხშირად გამოყენებულია

	სიტყვიერი, განმავითარებელი უკუკავშირი, რაც აუმჯობესებს მათ სასწავლო უნარებს. მასწავლებლები უთითებენ როგორც ძლიერ მხარეებს, ისე იმ ასპექტებს, რომლებზეც მუშაობაა საჭირო, რაც ასევე ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. კათედრაზე აღნიშნეს, რომ ჰყავთ ინდივიდუალური საჭიროების მქონე მოსწავლეები, ამიტომაც აქვთ განსაკუთრებული მიდგომების გამოყენების გამოცდილებაც. პრაქტიკაში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის დავალება – ჯგუფური პროექტები, დამოუკიდებელი შემოქმედებითი ნამუშევრები, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება. ეს ავითარებს თანამშრომლობის, კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარებს. შეფასების სისტემამ უკვე აჩვენა პოზიტიური შედეგები, თუმცა მისი განვითარება აუცილებელია – განსაკუთრებით ტექნოლოგიების, მოსწავლეთა ჩართულობისა და მეთოდოლოგიური გამრავალფეროვნების მიმართულებით. **რჩევებისამივე საფეხურისთვის :** ● **სასურველია,** შეფასების პროცესში უფრო აქტიურად ინტეგრირდეს ციფრული ინსტრუმენტები – მაგალითად, მოსწავლეთა ნამუშევრების ვიდეოფიქსაცია, ციფრული პორტფოლიოები, ონლაინ პლატფორმებით შეფასება. ● **სასურველია,** შეფასების პროცესში მოსწავლეთა როლი გაფართოვდეს არა მხოლოდ თვითშეფასებით, არამედ შეფასების კრიტერიუმების ერთობლივი შედგენით, რაც მათ ჩართულობას და პასუხისმგებლობას გაზრდის. ● **სასურველია,** მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა შეფასების ინოვაციური მეთოდების შესახებ პროფესიული ტრენინგების გზით, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პრაქტიკის გაღრმავებას და გააუმჯობესებს არსებული ინსტრუმენტების გამოყენების უნარებს.
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურისთვის კათედრაზე შემუშავებულია მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები სხვადასხვა ტიპის დავალებებისთვის. მოსწავლეებმა წინასწარ იციან ამა თუ იმ დავალების შეფასების კრიტერიუმები, ქულათა გადანაწილება. განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად მასწავლებლები იყენებენ განმავითარებელ შეფასებას და სოლო

	ტაქსონომიას. შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭირვალე, ობიექტური და სამართლიანი.
მათემატიკა	სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესების მიზნით, სკოლა სამივე საფეხურზე მუდმივად ახორციელებს მონიტორინგს. უზრუნველყოფს სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, შეფასებას მართვისთვის/მხარდაჭერისთვის, შეფასების სისტემის ვერიფიკაციას, სხვადასხვა კვლევების ჩატარებას, ინფორმაციის შეგროვებას, ანალიზს და მართვისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას
სპორტი	განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები, რომელიც შემუავებულია სკოლის მიერ სამივე საფეხურისთვის არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. მოსწავლეებმა წინასწარ იციან შეფასების რუბრიკები, იციან რა კრიტერიუმების მიხედვით ფასდებიან.
ტექნოლოგიები	სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის ჩარჩოებით, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით, სხვა დოკუმენტაციით, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად, ცხადი გახდა, რომ საგანში შეფასების სისტემა ემყარება სამართლიანობის, გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის პრინციპებს. რაც უშუალოდ დაკავშირებულია მოსწავლეების მიერ დავალებებში სამიზნე ცნებების/ქვეცნებების, საკითხების სრულყოფილ და გააზრებულ ათვისებასთან
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	მასწავლებლებისამივე საფეხურზე იყენებენ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს. წარმოდგენილია: განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკები სამიზნე ცნებებითა და სტანდარტის შედეგებით, თემების მიხედვით; სადიაგნოსტიკო შეფასება, ანალიზი;

	რჩევა: სასურველია, აწარმოონ კონკრეტულ დავალებაზე მორგებული რუბრიკები, და სადიაგნოსტიკო შეფასება, რომლებშიც მკაფიოდ გამოიკვეთება კრიტერიუმების მიმართება სამიზნე ცნებებთან და გათვალისწინებული იქნება სტანდარტით მისაღწევი შედეგები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომლის თანხამდაც სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაციის მექანიზმის დანერგვის მიზანია დაწსებულებაში შეფასების სისტემა იყოს სანდო ვალიდური და გამჭვირვალე პროცესი,ასევე სამართლიანი და ობიექტური. დოკუმენტში წარმოდგენილია ვერიფიკაციის პრინციპები ,მიზნები, ამოცანები, აღწერილია ვერიფიკაციის პროცესი.სკოლაში ფუნქციონირებს ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის ძირითადი ამოცანაა შეფასების სისტემის ეფექტიანობისა და სანდოობის მონიტორინგი და შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველყოფა. ვერიფიკაციის ჯგუფი რეგულარულად ეცნობა სასკოლო კურიკულუმის სტანდარტებთან შესაბამისობას. ჯგუფის მუშაობა უზრუნველყოფს შეფასების სისტემის გამჭვირვალობას, ობიექტურობას და სამართლიანობას, რაც ხელს უწყობს ხარისხიანი სასწავლო გარემოს შენარჩუნებას. მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელდა შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის, სადიაგნოსტიკო ტესტების, ვერიფიკაცია. შემდგომ ეტაპზე სკოლა გეგმავს განხორციელდეს პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაციაც. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.ინფორმაცია ინახება არა მხოლოდ ადმინისტრაციული მიზნებისთვის, არამედ სკოლის ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესებისა და პროფესიული ანალიზისთვის. მონაცემთა შენახვა ხდება კონფიდენციალურობის, ეთიკისა და ინფორმაციის დაცვის წესების სრული დაცვით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეების მიერ შექმნილი პროდუქტი,
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები,
- სასწავლო პროცესის შეფასების რეფლექსია.;
- კლუბური მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია;
- პროექტზე მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია; კათედრის ოქმები;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- კურიკულუმენი საგნებისა და კლასების მიხედვით;
- შემოქმედებითი დავალებებისა და შემაჯამებელი დავალებების მასალები;
- მოსწავლის ნაშრომები,შეფასებები;
- ანალიზის ფორმები;მოსწავლის პროგრესის ამსახველი მასალები;
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი; ვერიფიკაციის მასალები;
- დამხმარე რესურსების ვალიდაციის წესი;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესში პედაგოგები იყენებებ კურიკულუმით განსაზღვრულ ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსებს. აქვთ თანამედროვედ მოწყობილი ლაბორატორიები, რომლებიც აკმაყოფილებენ სტანდარტებს. სასწავლო რესურსები მორგებუბულია მოსწავლეთა ასაკობრივ ინტერესებსა და საჭიროებებზე, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას და ეფექტურად გამოიყენება სასწავლო პროცესში

საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესშისამივე საფეხურზე აქტიურად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული რესურსები (როგორც ციფრული, ასევე მატერიალური), რაც ხელს უწყობს ესგ ში გათვალისწინებული გრძელვადიანი მიზნების დაძლევას.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესშიროგორც დაყებით და საბაზო, ასევე საშუალო საფეხურზე აქტიურად გამოიყენება როგორც კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები. პედაგოგები სწავლებისას ეფუძნებიან გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, რაც უზრუნველყოფს საგნობრივი მიზნებისა და სტანდარტების შესრულებას.დამხმარე რესურსების გამოყენება კიდევ უფრო მრავალფეროვნებს სწავლების პროცესს და ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა ტიპის ვიზუალურ, აუდიო და ციფრულ მასალებს — მათ შორის, ვიდეოსიუჟეტებს, ინტერაქტიულ დავალებებს, ონლაინ პლატფორმებს , რაც პასუხობს მოსწავლეთა განსხვავებულ საჭიროებებსა და სტილებს.რესურსების შერჩევა ემყარება თემატურ შესაბამისობას და სასწავლო მიზნებთან თანხვედრას
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მათი ძირითადი სასწავლო რესურსი სასკოლო სახელმძღვანელოა. თუმცა, აქტიურად იყენებენ კომპლექსური დავალებების ბანკის რესურებს, რაც არ იკითხება სამივე საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში. აცნობიერებენ, რომ მხოლოდ სახელმძღვანელოს გამოყენებით ვერ მოხდება საჭირო სასწავლო თემატიკის დამუშავება. სასკოლო საზოგადოების ინტერესების იდენტიფიცირება უნდა მოხდეს კურიკულუმის დაგეგმვამდე. ადგილობრივი ინტერესების ასახვის ერთ-ერთი პრაქტიკული გზა თემთან თანამშრომლობითი პროექტებია: ერთობლივი გამოფენები, ხალხური სიმღერისა და ცეკვის კონცერტები, თემატური დღეები, ექსპედიციები, კონფერენციები და ა.შ. რჩევები: • **დაწყებითი და საბაზო საფეხურის** კურიკულუმების რესურსების ველში დაემატოს კომპლექსური დავალებების ბანკის რესურსების ჩამონათვალი.

	● სასურველია, ესთეტიკურმა კათედრამ გაიაროს კონსულტაციები, მოახდინოს გამოკითხვა სკოლის დირექტორთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და თემის წარმომადგენლებთან, რათა გამოავლინოს, რას მიიჩნევს სკოლა და საზოგადოება პრიორიტეტულად. ● სასურველია, სამივე საფეხურისთვის ინტეგრირებული თემატიკის არჩევა სკოლის სპეციფიკის მიხედვით. ● სასურველია, როგორც დაყებითი ასევე საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმში აისახოს სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და თემის პროფილის (მაგ., სოფლის მეურნეობა, ხელოვნება, მეღვინეობა, არქიტექტურა, კულინარია) შესაბამისი თემები. ● სასურველია, დირექციამ მისცეს პედაგოგებს თავისუფლება და გამოუცხადოს მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ თემისთვის რელევანტური აქტივობების შემუშავება საგნობრივი სტანდარტების ფარგლებში.
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში გამოყენებულია ძირითადი და დამხმარე რესურსები.როგორც დაყებითი, ასევე საშუალო და საბაზო საფეხურზე პედაგოგოები აქტიურად მუშაობენ პროექტებზე, ასრულებენ შემოქმედებითი პროდუქტის მქონე დავალებებს რა დროსაც იყენებენ მრავალფეროვან, როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონულ დამხმარე რესურსებს. სკოლაში ფუნქციონირებს პროექტული სწავლება, შექმნილია სხვადასხვა კლუბი, რომლის ფარგლებში მოსწავლეები ქმნიან საგანმანათლებლო რესურსებს და უზიარებენ ერთმანეთს. მაგალითად, ლინგვისტთა კლუბის წევრებმა შემქნეს გრამატიკის სახელმძღვნალელო მე-4 კლასელებისათვის.
მათემატიკა	სამივე საფეხურის მათემატიკის კურიკლუმებში შემუშავებული საკითხები, სამიზნე ცნებები და ინტეგრირებული შემოქმედებითი დავალებები ნამდვილად ეყრდნობა სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს,შესაძლებლობებს,წინარე ცოდნასა და

	საჭიროებებს. სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ როგორც მატელიარულ ისე ელექტრონულ დამხმარე რესურსებს
სპორტი	სკოლას სამივე საფეხურისთვის გააჩნია ის მატერიალური რესურსი (სპორტული ინვენტარი), რომელიც მითითებულია კურიკულუმებში. ასევე, საგანმანათლებლო რესურსიც მრავალფეროვანია და გამოიყენება სასწავლო პროცესში.
ტექნოლოგიები	სკოლის ინფრასტრუქტურის, ასევე მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნოლოგიის სწავლებისათვის საჭირო ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსებით. მასწავლებელი ორიენტირებულია განათლების სისტემაში არსებული სხვადასხვა ონლაინ პლათფორმების, აპებისა და ვიდეო მასალების გამოყენებაზე.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში- ქართული ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება და მე და საზოგადოება მასწავლებლები იყენებენ გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს, ასევე - დამატებით მატერიალურ, აუდიო და ვიდეო რესურსებს. რჩევა: სასურველია, ოთხივე საგნის საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი თემებისა და საკითხების დამუშავების დროს მასწავლებლებმა გამოიყენონ მრავალფეროვანი, დამხმარე, მატერიალური და ელექტრონული რესურსები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას მოწოდებული აქვს, სამივე საფეხურისთვის სსიპ -ქალაქ რუსთავის N7 საჯარო სკოლის დამხმარე რესურსების ვალიდაციის წესი და დანართის სახით "დამხმარე რესურსის ვალიდაციის შეფასების სქემა". წესში მუხლობრივად განხილულია პროცედურები, რომლებიც ხორციელდება დამხმარე რესურსების შესარჩევად, პასუხისმგებელი პირები,

	ვალიდაციის კრიტერიუმები, ვალიდირებული რესურსების გამოყენება და მონიტორინგი, ცვლილებები და დამატებები წესში.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ შერჩეული დამხმარე რესურსები სამივე საფეხურზე სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. მათი ვალიდურობა განმტკიცებულია შესაბამისი დოკუმენტაციით
უცხოური ენები	სკოლა ყურადღებას აქცევს დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევის პროცესს და უზრუნველყოფს მათ ვალიდაციას სამივე საფეხურზე. პედაგოგები არჩევენ დამატებით რესურსებს საგნობრივი პროგრამისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მათი შინაარსობრივი სისწორე, შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან, ასაკობრივი ადეკვატურობა და მოსწავლის ინტერესებზე მორგებულობა.სკოლა მხარს უჭერს მასწავლებელთა ინიციატივას თანამედროვე, ინოვაციური და მოსწავლისთვის ხელმისაწვდომი რესურსების ინტეგრირებაში, რაც თავის მხრივ ზრდის სასწავლო პროცესის ხარისხს, მრავალფეროვნებასა და მოტივაციურ გარემოს.დამხმარე რესურსების გამოყენება სკოლის ყოველდღიურ პრაქტიკაში უკვე მყარად ჩამოყალიბებულია და იგი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლის შედეგზე ორიენტირებულ სწავლებას.
ესთეტიკური აღზრდა	დაწყებითი საბაზო და საშუალო საფეხურისთვის მუსიკისა და ხელოვნების (ესთეტიკის) კათედრა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სასწავლო რესურსების შერჩევისა და გამოყენების პროცესის მიზნობრიობასა და სანდოობას. დამხმარე რესურსების გამოყენება ხდება წინასწარ დაგეგმილი თემატიკისა და სასწავლო მიზნების მიხედვით. რესურსის შერჩევისას პედაგოგები ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებსა და უნარებს. გამოყენებული მასალები თანხვედრაშია ასაკობრივ მოთხოვნებთან და შესასწავლი თემისა და საკითხის შინაარსთან. სკოლაში აქტიურად გამოიყენება როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული და ვიზუალური მასალები:

	მუსიკალური ჩანაწერები და ვიდეოფრაგმენტები; ხელოვნების ნიმუშების ფოტოარქივები; სამუშაო ფურცლები და პრეზენტაციები; დარგობრივი ელექტრონული რესურსები. მასწავლებლები ხშირად ახდენენ მასალების ადაპტაციას მოსწავლეთა დონესა და საჭიროებებზე მორგებულად, რაც დადებითად აისახება მათ ჩართულობასა და აქტივობაზე. რესურსების შერჩევისას კათედრის წევრებს შორის მიმდინარეობს კონსულტაციები, რაც ხელს უწყობს მასალების შინაარსობრივ შესაბამისობას და რესურსების სანდოობის გაზრდას. ასევე ხდება რესურსების გაზიარება ერთმანეთში – რაც ერთგვარად ქმნის შიდა კოლექტიურ ბიბლიოთეკას. დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაცია პრაქტიკაში ხორციელდება გააზრებულად და მიზანმიმართულად. ის უზრუნველყოფს სწავლების ხარისხს, მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და საგნობრივი მიზნების მიღწევას. მიუხედავად დადებითი პრაქტიკისა, მნიშვნელოვანია, პროცესი გახდეს უფრო ფორმალიზებული და დოკუმენტურად მოწესრიგებული, რაც კიდევ უფრო გაამყარებს რესურსის სანდოობასა და ეფექტურობას. რჩევებისამივე საფეხურისთვის: ● მიუხედავად იმისა, რომ რესურსების შერჩევა ხორციელდება გააზრებულად, სასურველია მისი ფორმალიზება: მაგალითად, რესურსების გამოყენების წინასწარი დამტკიცება კათედრის სხდომაზე, ან შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება თემატურ-საათობრივ გეგმაში. ეს ხელს შეუწყობს პროცესის გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას. ● სასურველია, სკოლაში გამოიყენებოდეს მხოლოდ სანდო, ავტორიტეტული წყაროებიდან მოწოდებული ელექტრონული მასალა. აუცილებელია რესურსების შინაარსობრივი გადამოწმება, რათა არ მოხდეს არარელევანტური მასალის გამოყენება. ● სასურველია, შეიქმნას მუსიკისა და ხელოვნების რესურსების ელექტრონული ბაზა, რომელსაც გამოიყენებენ კათედრის მასწავლებლები. რესურსბანკში შესაძლებელია შეინახოს: სასწავლო ვიდეოები, ნოტები, ნახატების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები და პრეზენტაციები.

	• დამხმარე რესურსად შესაძლოა გამოყენებულ იქნას მოსწავლეთა ნამუშევრები, წინა წლების პროექტები და პრეზენტაციები. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციას და ასახავს შემოქმედებითი პროცესის უწყვეტობას.
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესში გამოყენებული დამხმარე რესურსები შემუშავებულია საგნობრივ კათედრაზე, კათედრის წევრების ერთობლივი ჩართულობით. რესურსების შერჩევისას უმთავრესი ფაქტორი უსაფრთხოება, სასწავლო პროცესთან და მოსწავლეთა საკობრივი თავისებურებებთან შესაბამისობაა.
მათემატიკა	სკოლას დანართის სახით წარმოდგენილი აქვს დამხმარე რესურსის ვალიდაციის წესი სამივე საფეხურისთვის და შეფასების სქემა, რომლის თანახმად დამხმარე სასწავლო რესურსები შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და სკოლის კურიკულუმთან
სპორტი	დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების შერჩევადაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურისთვის ხდება პროგრამისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. ვალიდაცია ხორციელდება საგნობრივი კათედრების შეხვედრების ფარგლებში
ტექნოლოგიები	როგორც საგნის კურიკულუმიდან, ისე მასწავლებლებთან გასაუბრებისას, ცხადი გახდა, რომ სკოლა ონლაინ პლათფორმათა, პროგრამებისა თუ აპების გამოყენებით ახერხებს დამხმარე სასაწავლო რესურსების ვალიდაციას სასწავლო მიზნებთან.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლას დანართის სახით წარმოდგენილი აქვს, ქართულ ენასა და ლიეტერატურაში, მათემატიკაში, ბუნებისმეტყველებასა და მე და საზოგადოებაში დამხმარე რესურსის ვალიდაციის წესი და შეფასების სქემა, რომლის თანახმად დამხმარე სასწავლო რესურსები შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და სკოლის კურიკულუმთან, შინაარსობრივად გამართულია, მეთოდურად მიზანშეწონილი, ინკლუზიური და ხელმისაწვდომია. შეთანხმებულად არის შერჩეული დაწყებითი კლასების კათედრაზე, მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. **კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სსიპ - ქალაქ რუსთავის N7 საჯარო სკოლას აქვს თანამედროვედ აღჭურვილი ქიმია - ბიოლოგიისა და ფიზიკის ლაბორატორიები, ცენტრალიზებული სავენტილაციო-ამწოვი სისტემით. სკოლის ყველა მოსწავლეს აქვს წვდომა შესაბამის რესურსებზე. კედლებზე განთავსებულია ლაბორატორიით სარგებლობისა და უსაფრთხოების დაცვის წესები, თვალსაჩინოებები. სასწავლო რესურსები. ლაბორატორიების აღჭუვილობა აკმაყოფილებს კურიკულუმით და ესგ-თი განსაზღვრულ მოთხოვნებს, თანამედროვე სტანდარტებს და მზად არის კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობების ჩასატარებლად. ფიზიკის ლაბორატორიაში არის ტელესკოპიც კი. სკოლას აქვს შეძენილი ქიმ რეაქტივები.მიკროსკოპები.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლა სრულად უზრუნველყოფს სწავლისათვის საჭირო მატერილურ რესურსებსა და თვალსაჩინოებებს სამივე საფეხურის მოსწავლეებისთვის
უცხოური ენები	სასწავლო პროცესის ეფექტიანად განხორციელებისთვის სკოლა სამივე საფეხურზე უზრუნველყოფს შესაბამის მატერიალურ რესურსებს, რაც ხელს უწყობს კურიკულუმში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ის სრულფასოვნად ახერხებს სასწავლო გარემოს მოწყობას ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.სკოლაში მოწესრიგებულია სასწავლო სივრცე, აღჭურვილია აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით. უცხოური ენების კათედრის წევრები მაქსიმალურად იყენებენ გარე ხელმისაწვდომ რესურსებსა და პროექტებს, რაც ზრდის სწავლების ხარისხსა და მოსწავლეთა ჩართულობას.

ესთეტიკური აღზრდა	სსიპ - რუსთავის N7 საჯარო სკოლაში, ხელოვნებისა და მუსიკის სწავლებისას სამივე საფეხურზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ გარემო პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. სწავლების ხარისხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების და მოსწავლეთა რაოდენობრივი დატვირთვის დაბალანსებული თანხვედრა. მუსიკისა და ხელოვნების საგნებისთვის სკოლაში არ არის გამოყოფილი სპეციალური საკლასო სივრცეები (მაგ: მუსიკის საკლასო ოთახი რომ იყოს აღჭურვილი ინსტრუმენტებით ფორტეპიანო, რიტმული აქტივობისთვის საჭირო ინსტრუმენტები: მარაკასები, შეიკერები, დოლი და ა.შ., ხოლო ხელოვნების საკლასო სივრცე უზრუნველყოფილი იყოს მოლბერტებით, სახატავი მასალებით და საჭირო ინვენტარით.). თუმცა, შესაძლებელია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სამუშაოების განხორციელება. მასწავლებლები იყენებენ ისეთ რესურსებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება კურიკულუმში განსაზღვრულ უნარებსა და მიზნებს. მაგალითად, მხატვრულ საქმიანობაში მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება გამოიყენონ სხვადასხვა ტექნიკა და მასალა – რაც აძლიერებს მათ შემოქმედებით შესაძლებლობებს. მუსიკის გაკვეთილზე მოსწავლეები მუშაობენ როგორც სმენით, ისე საშემსრულებლო, თეორიულ, შინაარსზე ორიენტირებულ აქტივობებზე, რაც ეხმიანება კურიკულუმში ჩამოყალიბებულ შედეგებს (მუსიკალური ნიმუშების აღქმა, გააზრება და ა.შ. შინაარსთან შესაბამისობაში; მუსიკალური მახასიათებლების გამოყენებით მოსმენილი ფრაგმენტების აღწერა, ასოციაციური კავშირების გაბმა და სხვ.). მასწავლებლის მიერ დაგეგმილი აქტივობები ადაპტირებულია მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე, შემოქმედებითი აქტივობები წარიმართება მცირე ჯგუფებად, რაც ზრდის ჩართულობასა და ხარისხიან უკუკავშირს თითოეული მოსწავლისთვის. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია კლასი/კაბინეტის დატვირთვის ზღვრული რაოდენობა, რაც ხელს უწყობს უსაფრთხო და ეფექტურ სამუშაო გარემოს.

	სკოლაში ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივი სწავლებისას კურიკულუმში გათვალისწინებული შედეგების მიღწევა მეტწილად უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსითა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. არსებული პრაქტიკა ქმნის პირობებს მიზნობრივი, პრაქტიკული და მოტივირებული სწავლისთვის, თუმცა, განვითარებისთვის კვლავ მნიშვნელოვანია რესურსების რეგულარული განახლება და ტექნოლოგიების ინტეგრაცია. რჩევები სამივე საფეხურისთვის: ●სასურველია, ესთეტიკის კათედრისთვის საჭირო ინვენტარის განახლება. მიუხედავად არსებული საბაზისო რესურსისა, მიზანშეწონილია რეგულარული შევსება და განახლება სახარჯი მასალების და ტექნიკური აღჭურვილობისა (საღებავები, ფუნჯები, ქაღალდი, მუსიკალური ინსტრუმენტები, პროექტორი, ხმის გამაძლიერებელი, ლეპტოპი), რაც მნიშვნელოვნად იმოქმედებს პრაქტიკული საქმიანობის ხარისხზე. ●სასურველია, გაძლიერებული ყურადღება დიფერენცირებულ მიდგომებზე. მოსწავლეთა რაოდენობრივი დატვირთვის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ სხვადასხვა სირთულის დავალებების შეთავაზება, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას და ინდივიდუალურ პროგრესს. ●სასურველია, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება – იქნება ეს მხატვრული ნამუშევრების ციფრული არქივის შექმნა, მუსიკის ციფრული პროგრამების გამოყენება თუ დისტანციური რესურსების გამოყენება მრავალფეროვანი დავალებებისთვის.
სახელმწიფო ენა	სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის, ავტორიზაციის ჯგუფის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას სამივე საფეხურზე აქვს საგნობრივი

	კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს, მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით.
მათემატიკა	კურიკულუმების მიხედვით, ძირითადი მატერიალური რესურსი არის სახელმძღვანელოები ასევე სხვადასხვა საშუალებები. სკოლას აქვს საშუალება უზრუნველყოს ყველა საფეხურის მოსწავლეები პროექტორით, პრინტერებით და კომპიუტერებით, რაც იძლევა დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენების საშუალებას.
სპორტი	სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სკოლას გააჩნია ფრენბურთის ბადე, კალათბურთის ფარები, ბურთები, ნიშნულები, ჩოგბურთის მაგიდა, ლეიბი და სხვა სპორტული ინვენტარი, რომელიც მითითებული კურიკულუმებში. რჩევა: სასურველია, სკოლამ შეისყიდოს მცირე ზომის ბურთები (მაგ., ჩოგბურთის ბურთები) იმისთვის, რომ შესაძებელი გახდეს მძლეოსნობის თემის ფარგლებში ერთ-ერთი ტექნიკური ელემენტის (ცალი ხელით ბურთის ტყორცნის) სწავლება.
ტექნოლოგიები	სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა, რომ კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი კომპიუტერული ლაბორატორიით, სხვა მატერიალური რესურსებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ბუნებისმეტყველებასა და მე და საზოგადოებაში სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვა და კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. კლასებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ადგილების

	ზღვრული რაოდენობა, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებს ძირითადი და დამხმარე სასწავლო მატერიალური და ციფრული რესურსებით. რჩევა: სასურველია, სამომავლოდ, უფრო მეტი მატერიალური და ელექტრონული რესურსით იქნას უზრუნველყოფილი ოთხივე საგნის კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

სკოლა უზრუნველყოფს, რომ კურიკულუმის წარმატებული განხორციელებისთვის საჭირო ყველა ადამიანური რესურსი (მასწავლებლები, ადმინისტრაციული პერსონალი, სპეციალისტები) სრულად შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს, განათლების სისტემის სტანდარტებს და საერთაშორისო პრაქტიკას. ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური დავალების მაგალითები;
- სპორტული ინვენტარის ამსახველი მასალა
- დამატებითი რესურსები;
- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;
- ინკლუზიური განათლების პროგრამა;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- *კათედრის ოქმები.*

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად; კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია პრაქტიკულად მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა. მონიტორინგი კათედრების დონეზე დელეგირებულია. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მონიტორინგის დელეგირება სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე (მაგ. მომავალი წლიდან იგეგმება კათედრებზე მონიტორნიგის სისტემის გაწერა, მოხდება დიაგნოსტიკური შეფასებები (მსგავსი დავალებების შეტანით) პარალელების დონეზე, მათ ანალიზსა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა მონაცემების რეფლექსია. აღნიშნული შედეგების საფუძველზე გაიცემა რეკომენდაციები და გაზიარებული იქნება ერთი კათედრიდან სხვა კათედრებისთვის, შემდეგ- სკოლის დონეზე, საჭიროებიდან გამომდინარე- მშობლისა და მოსწავლის დონეზე. დაიგეგმება ინტერვენციები) **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

   სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც ვალდებულია თვალყური ადევნოს და შეაფასოს სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესი. ამ ჯგუფს ევალება გაკვეთილებზე დასწრება და ჩატარებული გაკვეთილის ხარისხის შეფასება, შესაბამისად პედაგოგისთვის კონსტრუქციული უკუკავშირის მიცემა, რაც უზრუნველყოფს მის

პროფესიულ ზრდას. კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ თვით პედაგოგებიც ახდენენ გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებას და ერთმანეთის შეფასებას. სკოლაში სწავლება დაფუძნებულია კომპლექსური დავალებების განხორციელებაზე, შესაბამისად ყოველი ასეთი დავალების შესრულების შემდეგ კათედრებზე ხდება მათი შეფასება, ყოველი წარმატებული და გასაუმჯობესებელი საკითხის დაფიქსირება, რაც საბოლოო ჯამში საჭიროა კურიკულუმის განხორციელების შეფასებისთვის. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სკოლის პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის SWOT ანალიზის მეთოდით იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომლის წევრები სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად აფიქსირებენ ყველა გამოვლენილ პრობლემას, რათა შემდეგ დასახონ მათი გადაჭრის გზები. კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ თვით პედაგოგებიც ახდენენ საკუთარი გაკვეთილების თვითრეფლექსიას, კოლეგების ურთიერთშეფასებას და კათედრებზე განხილვის პროცესში ეძებენ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზებს. სამომავლოდ სკოლას გადაწყვეტილი აქვს შექმნას ისეთი მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმების ეფექტიან მონიტორინგსა და შეფასებას, რათა უკეთესად შექმნან რევიზირებული კურიკულუმები და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი. სკოლის პრობლემების მონიტორინგის და შეფასების განსაზღვრის იდენტიფიცირების შემდეგ, სასკოლო საზოგადოება გეგმავს კონკრეტულ ნაბიჯების - კონკრეტული მიზნებისათვის განსაზღვროს პასუხისმგებელი სტრუქტურები. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;*
- *ინტერვიუები პედაგოგებთან;*
- *თვითშეფასების კითხვარი;*
- *ვერიფიკაციის მექანიზმი;*
- *კურიკულუმები.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ირკვევა, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა. მოსწავლეებს ამოწმებენ როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასებით. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემა ეყრდნობა მოსწავლეზე ინფორმაციის შეგროვების მრავალფეროვან წყაროებს, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლე შეაფასოს მრავალი კუთხით.სკოლის სკოლაში განმსაზღვრელი შეფასება ხდება საშინაო, საკლასო დავალებებში და შემაჯამებელ წერებში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სასწავლო პროცესის შეფასება დაწყებით საფეხურზე კომპლექსური დავალებების მიმდინარეობის პროცესშიც და საბოლოო შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენისასაც ხორციელდება. გასაუბრებით გაირკვა , რომ სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან განმსაზღვრელ შეფასებას, ხოლო მანამდე- განმავითარებელს, აქვთ ჯგუფური მუშაობისა და განმავითარებელი შეფასებების გამოყენების გამოცდილება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და პედაგოგთა ინტერვიუებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ შეფასება ეყრდნობა სხვადასხვა წყაროებს. გაწერილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების კომპონენტები და რუბრიკები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის შეფასებას მრავალი წყაროსა და კონტექსტის გათვალისწინებით. სკოლის სასწავლო გეგმიდან ირკვევა, რომ მოსწავლეების შეფასება ხდება არამარტო აკადემიური მოსწრების მიხედვით, არამედ ითვალისწინებენ მოსწავლის მისწრაფებებს, მის უნარებს. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა შეფასებისას ითვალისწინებენ სხვადასხვა ფაქტორებს, კერძოდ, იმ სუბიექტურ თუ ობიექტურ მიზეზებს, რომლებმაც შესაძლოა მოსწავლეზე იქონიოს გავლენა, მომდინარეობდეს მისგან დამოუკიდებლად და ხელს უშლიდეს მას

სწავლის პროცესში. სკოლას წარმოდგენილი აქვს სსმ მოსწავლეების ისგ-ის შემუშავების მეთოდოლოგია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სკოლაში შეფასებისას იყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს: მასწავლებლის პირად ჩანაწერებს, განმავითარებელ/განმსაზღვრელ შეფასებებს, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვებას, მოსწვალეთა თვითშეფასებას და უკუკავშირს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

შეფასებისას გათვალისწინებულია როგორც მოსწავლეთა აკადემიური დონე ასევე, მოსწავლის განვითარების დინამიკა, განვითარების პროცესი. მომავალი წლიდან სკოლა გეგმავს არსებული გამოცდილების გაუმჯობესებას და გამრავალფეროვნებას, მაგ. დიაგნოსტიკური შეფასების სისტემის აქტიურად დანერგვასა და სხვა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ვერიფიკაციის მექანიზმი;*
- *საგნობრივი კურიკულუმები;*
- *ინტერვიუები პედაგოგებთან;*

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

. სკოლის მიერ წარმოდგენილ „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“-ში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. პედაგოგები მთელი წლის განმავლობაში აგროვებენ კურიკულუმის დანერგვის პროცესში მიღებულ შესაბამის მონაცემებს და შემდეგ ხდება მათი ანალიზი კათედრის სხდომებზე. განხილულ საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე კათედრები შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომდევნო წლის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის სხდომებზე მუდმივად განიხილება რომელიმე თემის სწავლებისას, ან კომპლექსური დავალების განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემები. განიხილება ამ პრობლემების გადაჭრის გზები მათი კურიკულუმში ასახვის მექანიზმები. ***ინდიკატორი შესაბამისობაშია.***

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის გადამუშავება მიმდინარეობს კათედრებზე, ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. კათედრებს აქვთ შექმნილი სპეციალური სივრცე თიმსის საშუალებით, სადაც აქვთ სხვადასხვა დავალებების ბანკი და ასლის განთავსების საშუალებაც. საგნობრივ კათედრებზე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის საფუძველზე კეთდება ანგარიში, რომელსაც უზიარებენ მიზნობრივ სასკოლო საზოგადოებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **სასკოლო კურიკულუმი;**
- **საგნობრივი კურიკულუმები;**
- **კურიკულუმის განვითარების მეთოლოგია;**

შეფასება:

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი :19.09.2025 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: